



კვლევა შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით

ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი)

საბოლოო ანგარიში

ანგარიში მომზადდა პროექტის - “უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის (SECTORS). პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი (გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი) საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ასოციაცია „ათინათთან“ პარტნორობით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია განმარტებული ორგანიზაციები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი
THE INSTITUTE FOR CHANGE AND INNOVATION



Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია



INSTITUTE OF DEMOCRACY



საკონტაქტო ინფორმაცია

წარმოდგენილი ანგარიში მომზადდა საკონსულტაციო კომპანია PMO-ს მიერ ა.ა.ი.პ ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტის (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის) პროექტისათვის „კვლევა შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით“, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - "უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის" ფარგლებში. დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები, რომელიც ასახავს შერჩეულ რეგიონებში შრომის ბაზრის არსებულ მდგომარეობას და პრობლემებს, ასევე მათი გადაჭრისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს. კვლევის მიზნებისთვის საკვლევ რეგიონებში მოხდა ოთხი ეკონომიკური სექტორის, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და მისი ქვედარგების, შერჩევა და ამ სექტორებში არსებული პრობლემების შესწავლა. კვლევის მიგნებების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები, რეგიონებში შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის გაუმჯობესებისათვის.

ანგარიშთან დაკავშირებული დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ საკონსულტაციო კომპანია PMO-ს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

PMO Business Consulting

რაფიელ ერისთავის ქ. N 16, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: (+99532) 2 37 73 07

ელ. ფოსტა: contact@pmo-bc.com; www.pmo-bc.com

შინაარსი

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შემაჯამებელი მიმოხილვა..... | 3 |
| კვლევის მეთოდოლოგია | 6 |
| მუნიციპალიტეტების შერჩევის კრიტერიუმები..... | 7 |
| სამაგიდე კვლევა | 8 |
| ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტები | 8 |
| რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდები | 10 |
| რეგიონებში არსებული სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა..... | 11 |
| რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ეკონომიკური სექტორების ანალიზი | 11 |
| დასაქმება და უმუშევრობა | 15 |
| სოციალური მდგომარეობა და მოწყვლადი ჯგუფები..... | 20 |
| პროფესიული განათლება და ძირითადი მაჩვენებლები..... | 24 |
| სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარების პერსპექტივები | 29 |
| შერჩეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოტენციალი | 32 |
| რაოდენობრივი კვლევის შედეგები..... | 39 |
| კვლევის მიგნებები | 49 |
| მიგნებები შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართულებით..... | 49 |
| მიგნებები საჭირო უნარ ჩვევების შესახებ..... | 54 |
| მიგნებები პროფესიული განათლების არსებული მიმართულებებისა და საჭიროებების შესახებ..... | 58 |
| მიგნებები პროექტის ბენეფიციარების პროფესიული უნარების და საჭიროებების შესახებ..... | 62 |
| რეკომენდაციები..... | 65 |
| დანართები | 70 |
| დანართი 1 შერჩეული მუნიციპალიტეტების მიმოხილვა | 70 |
| დანართი # 2 ჩატარებული გამოკითხვის მონაცემები..... | 79 |
| დანართი # 3 კვლევის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები და ცხრილები | 80 |
| დანართი # 4 რაოდენობრივი კვლევის ინფოგრაფიკა..... | 86 |

შემაჯამებელი მიმოხილვა

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის საჭიროებებისა და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირება, შრომის ბაზარზე დამსაქმებლების მხრიდან არსებული მოთხოვნებისა და საჭიროებების შეფასება, ასევე პროექტის სამიზნე მოწყვლადი ჯგუფებისათვის (ახალგაზრდები, რომლებიც ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ვერ შეძლეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, განათლების მიღმა მყოფი ახალგაზრდები, ქალები-ეკონომიკური და სოციალური სირთულეების წინაშე მდგომი, დაბალ შემოსავლიანი ოჯახები) საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების იდენტიფიცირება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

კვლევა განხორციელდა 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით. კვლევა მიმდინარეობდა საქართველოს 9 მუნიციპალიტეტში: ქობულეთის, ქედის, ბათუმის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, სენაკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით. კერძოდ, მეორადი ინფორმაციის მოპოვება განხორციელდა არსებული სტატისტიკური მონაცემებისა და კვლევითი დოკუმენტების დამუშავების საფუძველზე. ამასთანავე, განხორციელდა ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები, სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან, კერძოდ: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან, სამიზნე რეგიონებში მოქმედ ბიზნეს სუბიექტებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამიზნე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან. ჯამში კვლევის ფარგლებში განხორციელდა 283 რესპონდენტის გამოკითხვა.

კვლევის შედეგად, შეფასდა სამიზნე რეგიონებში შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი სიტუაცია, კერძო და საჯარო სექტორში დასაქმების შესაძლებლობები, პოტენციური დამსაქმებლის მიერ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მოლოდინები, ასევე მოხდა იმ საგანმანათლებლო მიმართულებების იდენტიფიცირება, რომელიც ხელს შეუწყობს პროექტის- "უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის"-ს, ბენეფიციართა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საკვლევ რეგიონებში, შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობებისა და ზოგადად შრომის ბაზრის განვითარების კუთხით, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

დასაქმების პერსპექტივები გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების მხრიდან კონკრეტული პროფესიებისა და შესაბამისად არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი მოთხოვნის ჩამოყალიბებაში. არჩევანის გაკეთებისას გათვალისწინებულია ისეთი გარემოებები, როგორც არის პოტენციური დამსაქმებლების სიმრავლე, დარგის განვითარების დონე, შესაძლო ანაზღაურების ოდენობა. დასაქმების პერსპექტივის

თვალსაზრისით საკმაოდ სპეციფიურია სოფლის მეურნეობის დარგი, ვინაიდან, აღნიშნულ დარგში ხშირად დაბალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა სეზონურია, რის გამოც მოსახლეობა ამჯობინებს საზღვარგარეთ წავიდეს სოფლის მეურნეობის დარგში სეზონური სამუშაოს შესასრულებლად უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების მიზნით. რაც შეეხება კვალიფიციურ პერსონალს, როგორცაა დარგის სპეციალისტები (აგრონომი, ვეტერინარი, აგროტექნოლოგი) დარგში აღნიშნული კადრების დეფიციტია, რადგან რეგიონებში არ არსებობს საკმარისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები. ამასთანავე, რადგანაც სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია ძირითადად მცირე და საშუალო ფერმერებისა და საწარმოების სახით, დარგი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნას და სასურველი ანაზღაურების შეთავაზებას, რის გამოც მოსახლეობის ინტერესი აღნიშნულ დარგთან დაკავშირებული სპეციალობების მიმართ საკმაოდ დაბალია.

საგანმანათლებლო და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის არასაკმარისი დონე რაც თავის მხრივ აფერხებს კონკრეტული დარგების საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და საჭირო კვალიფიკაციის კადრების მომზადებას, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარების დეფიციტს და ამცირებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. ძირითადად, საგანმანათლებლო დაწესებულებები მჭიდროდ და წარმატებულად თანამშრომლობენ რეგიონებში არსებულ დიდ კომპანიებთან, რამდენადაც აღნიშნული კომპანიები წარმოდგენენ მსხვილ დამსაქმებლებს და გავლენას ახდენენ შრომის ბაზარზე. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, მათი ჩართულობა შედარებით დაბალია, როგორც პროგრამების შემუშავების, ასევე პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებისა და სტაჟირების მიმართულებით. სუსტი თანამშრომლობა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებებით, როგორც არის არასაკმარისი ფინანსური რესურსი, ინფორმაციის სიმწირე და სკეპტიკური დამოკიდებულება პროფესიული სასწავლებლების მიერ მომზადებული კადრების კვალიფიკაციისადმი.

ინფორმაციის ნაკლებობა პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორებად გვევლინება შრომის ბაზარზე საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების მიწოდების კუთხით. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სამიზნე სექტორებში მოქმედ მცირე თუ საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტებს არ გააჩნიათ ინფორმაცია არსებულ პროფესიულ განათლების მიმართულებებისა და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ. შესაბამისად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები ძირითადად საკუთარი რესურსებით ახდენენ საჭირო კადრების მომზადებას, როგორცაა ადგილზე სწავლება და ცოდნის გაზიარება, პერსონალის გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული კურსების საშუალებით, თუმცა, კადრების გადამზადების პროცესში ისინი ნაკლებად მიმართავენ რეგიონში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ სტუდენტების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ, საკმაოდ დადებითია. განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებულ სხვადასხვა კვლევების თანახმად, გამოკითხულ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა 89% ხელახლა ჩაბარების

შემთხვევაში, იგივე პროფესიულ სასწავლებელს, ხოლო 82% იგივე პროფესიას აირჩევდა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმართვიანობა საკმაოდ დაბალია, როგორც შერჩეულ რეგიონებში ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც აღნიშნული სექტორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება და პროფესიული განათლების არსებული საკომუნიკაციო სტრატეგიის დახვეწისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაფართოების აუცილებლობაზე მიუთითებს.

კვლევის ფარგლებში მოწყვლადი ჯგუფების გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მათი ინფორმირებულობა განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ საკმაოდ დაბალია. ამასთანავე, მათი განწყობა რეგიონში დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით საკმაოდ სკეპტიკურია, რადგან თვლიან რომ სასურველ პოზიციაზე დასაქმება საჭიროებს კარგი პირადი კონტაქტების არსებობას, ხოლო დაბალანაზღაურებადი სამუშაო მათთვის არ არის საინტერესო და სასურველი.

კულტურული ნორმები და სტერეოტიპები ერთ-ერთ უმთავრეს ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების თვალსაზრისით. პოტენციურ დამსაქმებლებს მიაჩნიათ რომ პროფესიულ სასწავლებელში მიღებული ცოდნა არ არის საკმარისი და ნაკლებად ენდობიან პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებლისთვის პროფესიული კოლეჯი ასოცირდება იმ დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს ისეთი კონტინგენტის სწავლებას, რომელმაც ვერ მოახერხა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება.

შრომითი მიგრაცია ხელს უწყობს რეგიონებში ცოდნისა და კვალიფიკაციების დეფიციტის შექმნას. თავის მხრივ, შრომითი მიგრაცია გამოწვეულია დასაქმების პერსპექტივებით და მასთან ასოცირებულ სხვა გარემოებებით, როგორცაა უკეთესი ანაზღაურება, ქალაქში ცხოვრების შესაძლებლობა და ზოგადად ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ფარგლებში გამოვლინდა პროფესიულ კურსებზე ჩაბარების მოტივაცია და მიზანი არის არა ცოდნის მიღება და პროფესიის შეძენა, არამედ შემდგომში სხვადასხვა დონორულ პროგრამებში მონაწილეობა გრანტის მიღების მიზნით, ან საზღვაგარეთ წასვლისა და იქ დასაქმების პერსპექტივები.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარების შესაძლებლობები - კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობა კადრების მოძიების პროცესში ხშირად შედარებით მცირე გამოცდილებისა და მაღალი მოტივაციის კადრის აყვანას ამჯობინებს, ხოლო შემდგომ უზრუნველყოფს აღნიშნული კადრის ადგილზე სწავლებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე კადრის შერჩევისა და სწავლების პროცესში ბიზნეს სექტორი ნაკლებად თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან, დამსაქმებლების მიერ კადრების ადგილზე სწავლების არსებული პრაქტიკა ქმნის საკმაოდ მტკიცე ბაზას ბიზნესსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის ეფექტურად დასაწერად. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნება ჩასატარებელი

კერძო სექტორის ინფორმირებულობის დონის გაზრდისა და პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის კუთხით მტკიცე კავშირების ჩამოსაყალიბებლად.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაწილში მოცემულია კვლევის განხორციელების პროცესში გამოყენებული მეთოდები და მიდგომები. კერძოდ, აღნიშნულ ნაწილში მოიცავს მუნიციპალიტეტების შერჩევის კრიტერიუმების, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისა და შერჩევის პროცესში გამოყენებული მიდგომების, ასევე კვლევის პროცესში ინფორმაციის შეგროვების მეთოდების აღწერას.

კვლევის ფარგლებში ძირითადი ინფორმაციის მოპოვება მოხდა შერჩეულ სექტორებში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამიზნე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების გამოკითხვით სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. ამასთანავე, დამატებით განხორციელდა სამიზნე სექტორებში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობრივი გამოკითხვა სტრუქტურული კითხვარების საშუალებით. ჯამში, კვლევის ფარგლებში განხორციელდა 420 რესპონდენტთან დაკავშირება, ხოლო ინტერვიუ შედგა 283 სუბიექტთან. კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმის მაჩვენებელი (non-response rate) შეადგენს 34%-ს.

კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია დამუშავდა და გაანალიზდა შემდეგი მიმართულებით:

- რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ეკონომიკური სექტორებში არსებული სიტუაციის ანალიზი, რაც თავის მხრივ მოიცავს შრომის ბაზრის მოთხოვნების, საჭირო უნარ-ჩვევების და ზრდის პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირებას. აღნიშნულ ნაწილში შესწავლილია დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნები და საჭიროებები, ასევე გაანალიზებულია ეკონომიკურ სექტორებში (მათ შორის სოფლის მეურნეობაში) პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების საჭიროება შრომის ბაზარზე არსებული უნარების დეფიციტის შევსებისა და რეგიონში დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერების ხელშესაწყობად.
- პროფესიული განათლების საჭიროებების ანალიზი, აღნიშნულ ნაწილში განხილულია პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული საჭიროებები და გამოწვევები, აღწერილია რეგიონში მოქმედ სასწავლებლებში არსებული პროფესიული პროგრამები და მათი თანხვედრა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
- პროექტის ბენეფიციარების პროფესიული უნარების და საჭიროებების შეფასება- აღნიშნულ ნაწილში მოიცავს ინფორმაციას რეგიონში არსებული მოწყვლადი ჯგუფებისა და პროექტის სამიზნე ბენეფიციარების წინაშე არსებულ ბარიერებს დასაქმებისა და განათლების შესაძლებლობების თვალსაზრისით. კერძოდ,

აღნიშნული კუთხით განხორციელდა მოწყვლადი ჯგუფების პროფესიული უნარების, ცოდნის, ინტერესების, დასაქმების პერსპექტივების ანალიზი, ასევე მათი უნარებისა და კვალიფიკაციის თანხვედრა პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და მოლოდინებთან.

მუნიციპალიტეტების შერჩევის კრიტერიუმები

პროექტის ჭრილში მოხდა სამი რეგიონიდან აჭარიდან, სამეგრელოსა და გურიიდან სამიზნე მუნიციპალიტეტის შერჩევა. თითოეული რეგიონიდან შეირჩა სამი მუნიციპალიტეტი წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. მუნიციპალიტეტების შერჩევის კრიტერიუმების მომზადებისას, ტექნიკური დავალებით განსაზღვრული კრიტერიუმების გარდა, ასევე გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა გარემოებები, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეს ზემოქმედება მუნიციპალიტეტებში არსებულ შრომის ბაზარზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების შერჩევის კრიტერიუმების მომზადებისას, გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა, მოწყვლადი ჯგუფების არსებობა, ბიზნეს სექტორის აქტიურობა, დასაქმების დონე, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობა მუნიციპალიტეტში და სიახლოვე რეგიონულ ცენტრთან.

მუნიციპალიტეტების შერჩევის პროცესში მოხდა შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა:

- თითოეული საკვლევი რეგიონიდან შეირჩა სამი მუნიციპალიტეტი
- თითოეული რეგიონიდან შერჩეული მუნიციპალიტეტებს შორის არის შესაბამისი რეგიონული ცენტრი
- თითოეული რეგიონიდან შეირჩა დამატებით ორი მუნიციპალიტეტი, რომელთაც აქვთ ან შესაძლოა ჰქონდეთ ეკონომიკური კავშირები ერთმანეთთან ან რეგიონულ ცენტრთან
- რეგიონიდან ძირითადად შეირჩა ის მუნიციპალიტეტები, რომლებიც ხასიათდებიან შედარებით მაღალი ეკონომიკური აქტივობით, აღნიშნული კუთხით შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის ჯამური ბრუნვა და მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა
- მუნიციპალიტეტის შერჩევისას გათვალისწინებული იქნა მისი როლი რეგიონული დასაქმების ბაზარზე, აღნიშნული კრიტერიუმით პრიორიტეტი მიენიჭა იმ მუნიციპალიტეტებს რომლებსაც აქვთ შედარებით მაღალი წილი რეგიონული დასაქმების ბაზარზე.
- მუნიციპალიტეტების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების არსებობა, პრიორიტეტი მიენიჭა მუნიციპალიტეტებს სადაც უკვე არსებობს მოქმედი პროფესიული ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

- ამასთანავე, შერჩევასას გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის დონე.
- საკვლევი მუნიციპალიტეტების შერჩევასას გათვალისწინებული იქნა პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების პრიორიტეტები.

მოცემული კრიტერიუმებიდან გამომდინარე სამეგრელოში შეირჩა **ზუგდიდის, სენაკისა და წალენჯიხის** მუნიციპალიტეტები. გურიაში შეირჩა **ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის** მუნიციპალიტეტები. რაც შეეხება აჭარას, შერჩეულ იქნა **ბათუმის, ქობულეთის და ქედის** მუნიციპალიტეტები. შერჩეული მუნიციპალიტეტების ზოგადი აღწერა, მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის დანართ #1-ში.

სამაგიდე კვლევა

სამაგიდე კვლევა განხორციელდა მეთოდოლოგიისა და სავლე კვლევის პარალელურად. სამაგიდე კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა სავლე კვლევის ფარგლებში მიღებული მიგნებების გასამყარებლად, და დამატებითი მონაცემებით შესავსებად. სამაგიდე კვლევა მოიცავს არსებული დოკუმენტების მიმოხილვასა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების შესახებ შემდეგი მიმართულებით:

- დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები
- განათლების შესაძლებლობები
- სოციალური მდგომარეობა და მოწყვლადი ჯგუფები
- ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები

ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტები

პირველადი ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა საკვლევ ჯგუფებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების საშუალებით. კვლევის მიზნებისთვის, დაინტერესებული მხარეები დაიყო ხუთ ძირითად ჯგუფად:

- ბიზნეს სექტორი
- საგანმანათლებლო სექტორი
- სახელმწიფო სექტორი
- არასამთავრობო სექტორი
- პროექტის სამიზნე მოწყვლადი ჯგუფები

სამაგიდე კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა არსებული კვლევითი ანგარიშები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვა წყაროების მონაცემები სამიზნე მუნიციპალიტეტებში საკვლევი სუბიექტების შესახებ.


ჯამში, კვლევის ფარგლებში სამივე რეგიონში, **420 რესპოდენტთან** მოხდა დაკავშირება, ხოლო 283 რესპოდენტის გამოკითხვა განხორციელდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით. ჩატარებული ინტერვიუებისა და გამოკითხვის მონაცემები, მოცემულია დანართ # 2-ში.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის (non response rate) მაჩვენებელი ბიზნეს სექტორში რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, საკმაოდ მაღალია. თუმცა აქ მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულ რესპოდენტთა შორის სუბიექტების უმრავლესობას შეჩერებული აქვს ფუნქციონირება ან არ არის დაინტერესებული საკითხით. ამასთანავე, რესპოდენტებთან დაკავშირებისას გამოვლინდა, რომ უმრავლესობას მითითებული აქვს არასწორი საკონტაქტო ინფორმაცია. ასეთი სუბიექტები ძირითადად წარმოადგენენ ENPARD-ისა და სხვა საგრანტო პროგრამების ბენეფიციარებს.

ჩაღრმავებული ინტერვიუების მეშვეობით, მოხდა 49 რესპოდენტის გამოკითხვა, ხოლო ფოკუს ჯგუფებით გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენს 50 რესპოდენტს. ჩაღრმავებული ინტერვიუების ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენდა 1 საათს, ხოლო სატელეფონო გამოკითხვის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 15 წუთს.

გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია გამოყენებული გამოკითხვის ინსტრუმენტების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამა # 1-ში.

დაგრამა 1. გამოკითხული რესპოდენტების განაწილება გამოკითხვის მეთოდების მიხედვით



წყარო: PMO


რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდები

რაოდენობრივი კვლევის რესპოდენტების იდენტიფიცირების მიზნით, ინფორმაციის მოძიება განხორციელდა სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებული ბიზნეს სუბიექტების მონაცემთა ბაზებიდან.

შერჩეულ რესპოდენტთა რაოდენობა მოიცავდა 300 ბიზნეს სუბიექტს, საიდანაც გამოიკითხა 184 რესპოდენტი, 116 რესპოდენტის გამოკითხვა კი ვერ მოხერხდა, რადგან 36 კომპანიამ თანამშრომლობაზე უარი განაცხადა, 43 კომპანია აღარ ფუნქციონირებს და არ ჩაერთო გამოკითხვაში, ხოლო 37 კომპანიის ბაზებში მითითებული ნომერი ან მიუწვდომელია, ან არ პასუხობს, რაც იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულმა კომპანიებმა ან შეწყვიტეს ფუნქციონირება ან ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამოდროებით შეჩერებული აქვთ საქმიანობა.

გამოკითხული რესპოდენტები შერჩეულ რეგიონებში შემდეგნაირად გადანაწილდა: აჭარის რეგიონში გამოიკითხა 74 კომპანია, გურიაში 46, ხოლო სამეგრელოს რეგიონში 63 კომპანია.

დაგრმა 2. გამოკითხული რესპოდენტების განაწილება სექტორულ და რეგიონულ ჭრილში



წყარო: PMO

გამოკითხული კომპანიების სექტორული გადანაწილება ძირითადად მოიცავს სოფლის მეურნეობას, სასტუმროსა და რესტორნების საქმიანობებს და დამამუშავებელი მრეწველობას. თუმცა, შერჩეულ რესპოდენტებს დაემატა ისეთი ბიზნესები, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ საგანმანათლებლო სექტორთან, რამაც გამოიწვია თავდაპირველად შერჩეული სექტორების გაფართოება და დაემატა ისეთი დარგები, როგორც არის მშენებლობა, ჯანდაცვა, საფინანსო, სადაზღვევო საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება.

გამოკითხული კომპანიების უმეტესი ნაწილი რეგიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში ფუნქციონირებს. შესაბამისად, ბათუმში, ოზურგეთსა და ზუგდიდში, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ყველაზე მეტი კომპანია გამოიკითხა. ადმინისტრაციულ ცენტრებს შორის თანაბარი რაოდენობის ბიზნეს სუბიექტების გამოკითხვა განხორციელდა ბათუმსა და ზუგდიდში და გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა 38 ბიზნეს სუბიექტს მოიცავს, ხოლო ოზურგეთში 35 ორგანიზაციის გამოკითხვა განხორციელდა.

სამივე რეგიონში, გამოკითხულთა შორის 50%-ზე მეტი, მცირე ზომის კომპანიებია, რომელთა თანამშრომლების რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს. რაც შეეხება მსხვილ ბიზნესებს (100 ზე მეტ თანამშრომელი) აჭარაში გამოიკითხა 15.1%, გურიაში 8.9%, ხოლო სამეგრელოში 12.7%.

რეგიონებში არსებული სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე ნაწილში მოცემულია სამაგიდე და სავლე კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმებისა და უმუშევრობის, სოციალური მდგომარეობისა და მოწყვლადი ჯგუფების, პროფესიული განათლების პროგრამებისა და შერჩეული დარგების სექტორულ ანალიზს.


რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ეკონომიკური სექტორების ანალიზი

საქსტატის მონაცემების თანახმად, 2019 წელს შერჩეულ რეგიონებსა და სექტორებს შორის, გურიაში დამამუშავებელ მრეწველობას ყველაზე მაღალი ბრუნვის მაჩვენებელი აქვს და ის რეგიონის მთლიანი ბრუნვის 30.6% შეადგენს. საყურადღებოა, რომ დამამუშავებელ მრეწველობაში ასევე ყველაზე მეტი ინვესტიცია ხორციელდება სხვა შერჩეულ დარგებთან შედარებით, და ის ბიზნეს სექტორში ინვესტიციების საერთო მოცულობის 23.8% შეადგენს.

აჭარაში, სექტორების ბრუნვის მონაცემების თანახმად, დამამუშავებელი მრეწველობა ასევე, პირველ ადგილს იკავებს, სხვა შერჩეულ დარგებთან შედარებით და მისი მაჩვენებელი რეგიონში ბიზნეს სექტორის საერთო ბრუნვის 8.3%-ს შეადგენს. თუმცა, რეგიონის დონეზე განხორციელებულ ინვესტიციებში დამამუშავებელი მრეწველობის წილი საკმაოდ დაბალია და ის მხოლოდ 3% -ს შეადგენს, მაშინ როდესაც სხვა დარგების შემთხვევაში, მაგალითად ისეთის როგორცაა მშენებლობის, ტრანსპორტის და დასაწყობების დარგები, ბრუნვისა და ინვესტიციების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. აღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ რეგიონში არსებულ სხვა დარგებთან შედარებით აღნიშნული დარგის განვითარება ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

სამეგრელო ზემო-სვანეთის შემთხვევაში, შერჩეულ დარგებს შორის ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაღალი მაჩვენებელი დამამუშავებელ მრეწველობას აქვს და ის 17.9% -ს შეადგენს. თუმცა განხორციელებული ინვესტიციებთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობასა და დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა თითქმის თანაბარია და ის დაახლოებით 11% შეადგენს.

დაგრმა 3. სექტორების ბრუნვის პროცენტული განაწილება შერჩეული რეგიონების მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური სექტორის განვითარებაზე ერთ-ერთი მოქმედი ფაქტორია, ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა. ბიზნეს სექტორში ინვესტიციების მოცულობის კუთხით, 2019 წელს შერჩეულ რეგიონებს შორის ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიციები აჭარის რეგიონში განხორციელდა და შეადგენდა 504 მილიონ ლარს, რაც ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების 10.3%-ია, მომდევნო ადგილზე იმყოფება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი 4.1%-ით, ხოლო გურიის რეგიონში ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა საკმაოდ დაბალია და 17.6 მილიონ ლარს შეადგენს, რაც ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული ინვესტიციების 0.4%-ია. რაც გურიის რეგიონში ბიზნეს სექტორის განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს.

რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების უმეტესი წილი ძირითადად რეგიონულ ცენტრებშია კონცენტრირებული. მაგალითისთვის, აჭარის რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების 93% ბათუმზე მოდის, ხოლო მეორე ადგილზე იმყოფება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სადაც ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 25.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების 5%-ია. ანალოგიური ტენდენციაა გურიის რეგიონშიც, სადაც რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების 92% ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე მოდის.

შედარებით განსხვავებული სურათი არის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის, სადაც ინვესტიციების მოცულობის კუთხით პირველ ადგილზე იმყოფება ფოთი, სადაც ბიზნეს სექტორში ინვესტიციების მოცულობა 90.3 მილიონ ლარს შეადგენს, რაც რეგიონში

განხორციელებული ინვესტიციების 45% -ია. რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის მიხედვით მეორე ადგილს იკავებს მესტია (25.7%), მესამე ადგილზე კი ხობის მუნიციპალიტეტი დგას 11%-იანი წილით საერთო ინვესტიციების მოცულობაში. რაც შეეხება ზუგდიდს, რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის მიხედვით მეოთხე ადგილზე იმყოფება 8.3%-იანი წილით. აღნიშნული განსხვავება სამეგრელოს რეგიონში განპირობებულია ფოთის, როგორც ინდუსტრიული ზონისა და საპორტო ქალაქის დანიშნულებით, ასევე მესტიის როგორც ტურისტულად განვითარებული ცენტრის მდგომარეობით. შესაბამისად, აღნიშნული მუნიციპალიტეტები ინვესტიციების მხრიდან შედარებით მაღალი ინტერესით სარგებლობენ.


რაც შეეხება ინვესტიციების განაწილებას სექტორულ ჭრილში, აჭარის რეგიონში ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მშენებლობის (39%), სასტუმროებისა და რესტორნების (24%) საქმიანობაზე მოდის, რაც რეგიონის ტურისტული ცენტრის როლით არის განპირობებული. ინვესტიციების მოცულობის კუთხით, მესამე ადგილს საბითუმო და საცალო ვაჭრობის საქმიანობა იკავებს 10%-იანი წილით ინვესტიციებში, ხოლო მეოთხე ადგილზე ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობები დგას 6%-იანი წილით.

ინვესტიციების სექტორული გადანაწილების კუთხით განსხვავებული სურათი გვაქვს სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში. სამეგრელოს რეგიონში ინვესტიციების ძირითადი წილი (35%) ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობაზე მოდის, ხოლო მეორე ადგილზე ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მიწოდების საქმიანობები დგას, რომელზეც რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების 28% მოდის. აღნიშნული განაწილება განპირობებულია რეგიონში საპორტო ქალაქის (ფოთის) არსებობით და ასევე, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით. ამასთანავე, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საკვლევ რეგიონებთან შედარებით, სამეგრელოში შეინიშნება მაღალი ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რაც განპირობებულია ისეთი კულტურების განვითარებით როგორცაა თხილი და კენკროვნები, რომელიც საკმაოდ მაღალი ინტერესით სარგებლობს ბიზნესის მხრიდან.

გურიის რეგიონში ინვესტიციების ძირითადი წილი უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე მოდის (56%), მეორე ადგილზე დგას დამამუშავებელი მრეწველობა (24%) და სამთომომპოვებელი საქმიანობები (5%).

დიაგრამა #4-ში მოცემულია ინვესტიციების გადანაწილება კვლევის ფარგლებში შერჩეულ სექტორებს შორის რეგიონების მიხედვით.

დაგრმა 4. ინვესტიციის პროცენტული გადანაწილება შერჩეულ სექტორებსა და რეგიონების მიხედვით, 2019




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ შევადარებთ, დარგების ბრუნვასა და ინვესტიციების ოდენობას, რეგიონულ ჭრილში, დავინახავთ, რომ კვლევის მიზნებისთვის შერჩეული სექტორებიდან გურიასა და სამეგრელოსათვის დამამუშავებელი მრეწველობა ერთ-ერთი განვითარებული დარგია, ხოლო აჭარასათვის, ესეთ დარგად განთავსების საშუალებების უზრუნველყოფის სფერო (სასტუმროების საქმიანობა) გვევლინება.

სტატისტიკური მონაცემების შესწავლის შემდეგ გამოვლინდა, რომ აჭარასა და გურიაში დასაქმების მაღალი მაჩვენებელია საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში, მაშინ როდესაც, სამეგრელოში დასაქმების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორშია.

განთავსების საშუალებების უზრუნველყოფის სექტორში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამეგრელოშია და ის 4,4%-ს შეადგენს. თუ შევადარებთ აღნიშნულ სექტორში ბრუნვისა და ინვესტიციების ოდენობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ დარგს არ მიუღწევია განვითარების ისეთ დონემდე, როგორც ეს გურიაში და აჭარაშია. თუმცა საყურადღებოა, რომ სამეგრელოში, სხვა რეგიონებთან შედარებით, სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული ინვესტიციები ყველაზე მაღალია, ისევე როგორც დასაქმების მაჩვენებელი.

დაგრმა 5. დასაქმების პროცენტული გადანაწილება შერჩეულ სექტორებსა და რეგიონების მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება დამამუშავებელ მრეწველობას, ის სამივე რეგიონში დასაქმების თითქმის ერთნაირი მაჩვენებლებით ხასიათდება.

აღნიშნული ინფორმაციის განაანალიზების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამივე რეგიონში დამამუშავებელი მრეწველობა წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან დარგს, ხოლო განთავსების საშუალებების უზრუნველყოფის სექტორს, განვითარების ეტაპზეა და განსაკუთრებით აჭარაში, სადაც ნათელია, რომ ტურისტული პოტენციალი ბოლომდე არ არის ათვისებული, რადგან მასში ინვესტირება ჯერ კიდევ გრძელდება.

დარგების შედარებითი შემაჯამებელი ინფორმაცია მოცემულია დანართის სახით, ცხრილ # 6-ში.

დასაქმება და უმუშევრობა

საკვლევ რეგიონებში შრომის ბაზრისა და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური დარგის გამოვლენისათვის, მოხდა ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორც არის: დასაქმება, უმუშევრობა, განათლება და სოციალური მგდომარეობა.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2019 წელს, აჭარაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 163.1 ათას კაცს, ხოლო გურიისათვის ეს მაჩვენებელი 66.1 ათას კაცს შეადგენს. რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს, დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა შეადგეს 159.6 ათას კაცს. თუ შევადარებთ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონებში დასაქმებულთა ჯამურ რაოდენობასთან, დავინახავთ ბიზნეს სექტორის განვითარების დონეს რეგიონების მიხედვით. აღნიშნული მონაცემი განაწილებულია შემდეგნაირად: აჭარაში 45,6% არის დასაქმებული ბიზნეს სექტორში, გურიაში 14,6%, ხოლო სამეგრელო ზემო-სვანეთში 19%. ნათელია, რომ სამივე

რეგიონიდან, აჭარაში ბიზნესის განვითარების უფრო მაღალი დონეა, სხვა რეგიონებთან შედარებით.

ამასთანავე, რეგიონების უმუშევრობის დონის მაჩვენებლები სამივე რეგიონში დაახლოებით მსგავსია და შემდეგნაირად ნაწილდება: აჭარა- 17.6%, გურია- 16.2%, სამეგრელო-ზემო სვანეთი- 15.9%.

დასაქმებულთა საერთო რაოდენობის გადანაწილება ეკონომიკური საქმიანობების შესაბამისად, მიუთითებს თუ რომელი დარგი იკავებს მნიშვნელოვან ადგილს დასაქმების კუთხით. შესაბამისად დიაგრამა # 6 ცხადყოფს, რომ გურიაში სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულია 62.3%, აჭარაში კი დასაქმების მაღალი მაჩვენებელია მომსახურების სფეროში, რომელშიც შესულია მშენებლობის სექტორიც. სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონისთვის სოფლის მეურნეობის დარგს 56.2% წილი უჭირავს.

დაგრამა6. დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით, 2019




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ დასაქმების მაჩვენებელი მოიცავს როგორც ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებას, ასევე კერძო სექტორში თვითდასაქმებულთა რაოდენობასაც. თვითდასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც ახორციელებს საკუთარ საქმიანობას, მომსახურების, წარმოების ან სხვა დარგში. შესაბამისად, არსებული მიდგომით თვითდასაქმებულად ითვლება სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი შინამეურნეოები, რომლებიც პირადი ან კომერციული მიზნით ახორციელებენ პროდუქციის პირველად წარმოებას. თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი ნეგატიურად შეიძლება იქნას მიჩნეული მაშინ როდესაც თვითდასაქმებით მიღებული შემოსავლები საკმაოდ დაბალია. გარდა ამისა, აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს ეკონომიკის განვითარების დონეზე, რადგან განვითარებული ეკონომიკის პირობებში თვითდასაქმებულთა წილი საერთო დასაქმებაში ყოველთვის დაბალია. ქვეყნის მასშტაბით, თვითდასაქმების მაჩვენებელი 2019 წლისათვის

შეადგენს 30.7%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში თვითდასაქმების კუთხით ბოლო წლებში კლების ტენდენცია შეიმჩნევა, თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი კვლავ რჩება შრომის ბაზრის მთავარ გამოწვევად¹. მნიშვნელოვანია, რომ 2020 წელს თვითდასაქმების მაჩვენებელი 1.17% გაიზარდა, რაც განპირობებულია ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ზეგავლენით. რაც შეეხება თვითდასაქმებით მიღებულ შემოსავალს, აჭარაში თვითდასაქმებით მიღებული საშუალო თვიური შემოსავალი, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე, 194.1 ლარია, გურიაში 68.6 ლარი, ხოლო სამეგრელოში 95.1 ლარი. ცხადია, რომ შერჩეულ რეგიონებში, თვითდასაქმებით მიღებული შემოსავლის ოდენობა ძალზედ მცირეა და სწორედ ამიტომ თვითდასაქმების მაჩვენებელი დასაქმების ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობა ბიზნეს სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილების 1.8%-ს იკავებს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და გვადიხვავს საფუძველს დავასკვნათ, რომ ძირითადად სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილები თვითდასაქმების ხარჯზე მოდის. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის სექტორში საშუალო ანაზღაურების დონე 40%-ით დაბალია ბიზნეს სექტორში არსებულ საშუალო ხელფასის დონეზე, რაც სექტორის დაბალ პროდუქტიულობაზე მეტყველებს. თუ გავითვალისწინებთ რეგიონებში ბიზნეს სექტორის აქტიურობის დონესა და ასევე ქვეყნის მასშტაბით არსებულ თვითდასაქმების მაღალ მაჩვენებლს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობის დარგი ამ ეტაპზე არ წარმოადგენს მსხვილ დამსაქმებელს და ძირითადად, პროდუქციის წარმოება ხდება მცირე მეურნეობებში თვითდასაქმებული პერსონალის მიერ.

დაგრამა 7. საკვლევ მუნიციპალიტეტებში, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მონაცემები, (ერთეული)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

¹ წყარო: შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა; <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Pages/User/Dashboard.aspx?CategoryId=a4ce629a-6258-4ea3-95cc-bf38d9153a73>

როგორც დიაგრამა #7 ჩანს, საკვლევ რეგიონებში, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შედარებით მაღალი მაჩვენებელი ბათუმში, ფოთსა და ზუგდიდშია, რაც ცხადყოფს, რომ ბიზნეს სექტორი ამ რაიონებში მეტად განვითარებულია. ბიზნეს სექტორში მაღალი დასაქმება ბათუმისა და ფოთის შემთხვევაში, განპირობებულია იმით, რომ ერთი მათგანი არის საკურორტო რეგიონი და ასევე საპორტო ქალაქი, ხოლო მეორე შემთხვევაში (ფოთი) საპორტო ქალაქთან ერთად, თავისუფალ ინდუსტრიული ზონად გვევლინება. ცხადია, ეს ფაქტორები, ბიზნეს სექტორის აქტიურობის მაჩვენებელს ზრდის სხვა საკვლევ რაიონებთან შედარებით. ამასთანავე, აღნიშნული მუნიციპალიტეტებისთვის დამახასიათებელია მაღალი ურბანიზაციის დონე რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, რაც ასევე პოზიტიურ გავლენას ახდენს ბიზნესის აქტიურობის დონეზე.


ანაზღაურება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო ძალის მიწოდებას და კადრების ინტერესს კონკრეტული დარგისა და პოზიციების მიმართ. ეკონომიკური სექტორების მიხედვით ანაზღაურების მაღალი დონით გამოირჩევიან შემდეგი სექტორები: საფინანსო საქმიანობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, მშენებლობა და ელექტროენერჯის, ბუნებრივის აირების მიწოდება, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება. ხოლო იმ სექტორებს შორის, სადაც ანაზღაურების დონე შედარებით დაბალია, მოხვდა შემდეგი დარგები: სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობები, განათლება, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები (სასტუმრო, რესტორანი), წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1161.7 ლარს შეადგენს. როგორც ჩანს, სამივე რეგიონში, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ამ მონაცემზე დაბალია. ბიზნეს სექტორში ყველაზე დაბალი ანაზღაურება გურიის რეგიონშია, სადაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო-თვიური ხელფასი 672.2 ლარს შეადგენს, რაც 42%-ით ჩამორჩება ქვეყანაში ბიზნეს სექტორში არსებულ საშუალო ანაზღაურების დონეს. აჭარისათვის ბიზნეს სექტორში საშუალო ანაზღაურების დონე 1019 ლარს შეადგენს (12%-ით ნაკლები ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე), ხოლო სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში 897.8 ლარს შეადგენს, რაც 23%-ით ჩამორჩება ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს სექტორში არსებული ანაზღაურების საშუალო მაჩვენებელს. მაღალი განსხვავება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელსა და რეგიონებში არსებულ ანაზღაურების დონეს შორის მიუთითებს კონკრეტულ რეგიონში ბიზნეს სექტორის განვითარების სისუსტეზე, პროდუქტიულობის ნაკლებობასა და კვალიფიციური პერსონალის დეფიციტზე.

ერთის მხრივ, ეს ნეგატიურად აისახება შრომის ბაზრის მიწოდებაზე, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ რეგიონები საინტერესოა ახალი ინვესტიციების მოზიდვისა და საწარმოთა გახსნისათვის, რადგან აქ შედარებით იაფი სამუშაო ძალის მოზიდვა არის შესაძლებელი.

მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი შემოსავლების განაწილება, რომელიც გაანგარიშებულია ერთ სულ მოსახლეზე, რეგიონების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

დაგრმა8. მოსახლეობის თვიური ფულადი შემოსავლის განაწილება, გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე (პროცენტი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამივე რეგიონში მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი ნაწილი დაქირავებით დასაქმებიდან მიღებული ანაზღაურებისგან შედგება, თუმცა განსხვავდება შემოსავლების წყაროების პროცენტული გადანაწილება. აჭარის რეგიონში, დაქირავებით დასაქმებიდან მიღებული შემოსავლებს მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი უჭირავს (52.5%), რაც შეეხება გურიას და სამეგრელოს დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლების წილი საერთო შემოსავლებში შედარებით თანაბარია და გურიისთვის 37.9%-ს ხოლო სამეგრელოს რეგიონისთვის 39.1%-ს შეადგენს. აღნიშნული სხვაობა რეგიონებს შორის დასაქმების ბაზრისა და ბიზნეს სექტორის განვითარების განსხვავებულ დონეზე მიუთითებს. გურიისა და სამეგრელოს რეგიონებისთვის დამახასიათებელია პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარებების სახით მიღებული შემოსავლების მაღალი წილი მოსახლეობის შემოსავლების საერთო სტრუქტურაში, რაც აღნიშნულ რეგიონებში მწვავე სოციალურ ვითარებაზე მეტყველებს.

თუ გავითვალისწინებთ შერჩეულ რეგიონებში დასაქმებულთა დარგობრივ გადანაწილებასა და მოსახლეობის შემოსავლის სტრუქტურას, რომელშიც დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალი გურიასა და სამეგრელოს შემთხვევაში საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა, ხოლო სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებლით აქვს, აღნიშნული ფაქტი, სოფლის მეურნეობის დარგის დაბალპროდუქტიულობაზე მიუთითებს,


რაც ახალი ტექნოლოგიების, ინვესტიციებისა და ახალი ცოდნის ნაკლებობითაა განპირობებული.

სოციალური მდგომარეობა და მოწყვლადი ჯგუფები

რეგიონებში არსებული სოციალური მდგომარეობა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შრომითი რესურსის პოტენციალის, არსებული უნარების, შესაძლებლობებისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის შესაფასებლად. სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მაღალი წილი რეგიონში აქტიური სამუშაო ძალის ნაკლებობასა და დასაქმების დაბალ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

2020 წლის მონაცემების მიხედვით მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში საარსებო შემწეობის მიღებისათვის რეგისტრირებული მოსახლეობის ოდენობა აჭარის მთლიანი მოსახლეობის 21.6%, სამეგრელო ზემო-სვანეთში 20.4%, ხოლო გურიაში 47.4%-ია რეგისტრირებული, რაც ამ რეგიონში მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს. მწვავე სოციალურ ვითარებაზე მეტყველებს რეგისტრირებულ შრომის უუნარო პირთა წილი რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ამ მხრივ განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა გურიისა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონები. გურიის შემთხვევაში, რეგიონის მოსახლეობის 76.4% შრომის უუნარო პირთა ბაზაშია რეგისტრირებული ან წარმოადგენს მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირს, ხოლო სამეგრელოს შემთხვევაში აღნიშნული ჯგუფების წილი საერთო მოსახლეობის რაოდენობის 41.5%-ს შეადგენს.


დაგრმა9. სოციალური მომსახურების სააგენტოში შემწეობაზე რეგისტრირებულ და შრომის უუნარო პირთა პროცენტული გადანაწილება, მთლიან მოსახლეობასთან, რეგიონების მიხედვით:



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოციალური მომსახურების სააგენტო

შშმ და შრომისუუნარო პირების ოდენობას რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 3,861 შშმ პირი და 25,511 შრომის უუნარო პირია რეგისტრირებული გურიაში, აჭარის შერჩეულ მუნიციპალიტეტებში 4,909 შშმ და 34,294 შრომის უუნარო პირია რეგისტრირებული, ხოლო სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში ეს მაჩვენებელი 3,686 და 31,343 პირს შეადგენს. მუნიციპალიტეტების მიხედვით, რეგიონში რეგისტრირებულ შშმ და შრომის უუნარო პირების გადანაწილება მოცემულია დიაგრამა #10-ში.

დაგრამა 10. სოციალური მომსახურების სააგენტოში შშმ და შრომის უუნარო პირთა პროცენტული გადანაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით (პროცენტები)




წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

რეგიონებში წარმოდგენილ მოწყვლადი ჯგუფებს შორის, ასევე არიან დევნილის სტატუსის მქონე პირები. აჭარაში, შერჩეული მუნიციპალიტეტებში მათ საერთო რაოდენობა შედგენს 10,349 კაცს, გურიაში აღნიშნული მონაცემი ბევრად მცირეა და ის 521 კაცს შეადგენს, მაშინ როდესაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან შერჩეულ მუნიციპალიტეტებში დევნილთა საერთო რაოდენობა 75,812 კაცს შეადგენს, რაც რეგიონის კონფლიქტისპირა ზონასთან სიახლოვეთ არის განპირობებული. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სამიზნე რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში დევნილის სტატუსის მქონე პირების განაწილებას.

დაგრმა 11.

რეგიონში რეგისტრირებული დევნილთა პროცენტული გადანაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

რეგიონებში არსებული მოწყვლადი სოციალური ჯგუფების სიმრავლითა და მძიმე სოციალური ვითარებიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდ მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ დონეზე აღნიშნული პირების საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების არსებობას, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ეკონომიკურ გაძლიერებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე არსებული სოციალური პროგრამები ნაკლებად პასუხობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს და არ არის ორიენტირებული სოციალური საკითხების გრძელვადიან გადაწყვეტაზე. მუნიციპალური სოციალური პროგრამები ძირითადად მოიცავენ ერთჯერად სოციალურ დახმარებასა და სამედიცინო სერვისების დაფინანსებას, ასევე არაფულად დახმარებას სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის.

კვლევის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან კონსულტაციებისა და საბიუჯეტო პროგრამების ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე არ არსებობს დასაქმებისა და განათლების მხარდამჭერი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ გაძლიერებასა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციას. შესაძლებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ცდილობენ ხელი შეუწყონ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, დამსაქმებლებთან დაკავშირებით ან რეკომენდაციის გაწევით, თუმცა აღნიშნული არ ხორციელდება რომელიმე სოციალური პროგრამის ფარგლებში და ძირითადად მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა ინიციატივისა და კეთილი ნების დამსახურებაა.

თვითმმართველობების ჩართულობა ნაკლებია, ასევე არაფორმალური განათლების კუთხითაც. არ ხდება მოსახლეობის საჭიროებების კვლევა, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ შემთხვევაში საჭიროებების მაიდენტიფიცირებელი რგოლი არასამთავრობო სექტორია და თუ ეს სექტორი ძლიერია, მუნიციპალიტეტის ჩართულობაც იზრდება.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია ინვესტორების და საგანმანათლებლო სექტორს შორის თანამშრომლობის წახალისების თვალსაზრისით. აღნიშნულს ადასტურებს გურიის რეგიონის წარმატებული მაგალითი, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ჩართულობით მოხდა ინვესტორების დაკავშირება პროფესიულ კოლეჯებთან, რათა ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად შემუშავებულიყო პროფესიული გადამზადების პროგრამები ინვესტორებისთვის საჭირო კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად. თუმცა ამ ეტაპზე, აღნიშნული წარმატების მაგალითები იშვიათია, რამდენადაც მუნიციპალიტეტის უწყებები პროაქტიულად არ მუშაობენ შრომის ბაზრის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით.

კარგი პრაქტიკის მაგალითი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მეშვეობით, მოხდა ინვესტორის რეგიონში არსებული კოლეჯ „ჰორიზონტ“-თან დაკავშირება. ინვესტორისათვის მნიშვნელოვანი იყო პოტენციური შრომითი რესურსისა და კადრების გადამზადებისათვის შესაბამისი ბაზის არსებობა. რადგან ინვესტორის მიერ დაგეგმილი ინვესტიციების ოდენობა იყო მაღალი და იგეგმებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა, აღნიშნული თანამშრომლობა ორმხრივად მომგებიანი იყო, როგორც ინვესტორისთვის, ასევე პროფესიული კოლეჯისთვისაც. შესაბამისად, თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა სამკერვალო საქმის შემსწავლელი პროფესიული პროგრამა, რომელიც დღესაც მოქმედებს და ახდენს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ მაგალითში წარმატებული თანამშრომლობა განაპირობა ინვესტიციების მაღალმა ოდენობამ და გარანტიამ იმისა, რომ კონკრეტული მიმართულებით მოხდებოდა საჭირო ოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევაში ნაკლებად არის მოსალოდნელი. შესაბამისად, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად, შესაძლებელია თანამშრომლობა მოხდეს შუალედური რგოლის დახმარებით. მაგალითად, შესაძლებელია შეიქმნას, შედარებით მცირე და საშუალო ზომის დამსაქმებელების გაერთიანება და/ან ასოციაცია, რომელიც ერთგვარი შუამავლის როლს შეასრულებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის. მსგავსი სახის შუალედური რგოლი მოახდენს დარგში არსებული დეფიციტური კადრების საჭიროების იდენტიფიცირებას და საგანმანათლებლო სექტორთან თანამშრომლობით, შეძლებს შესაბამისი პროგრამების შემუშავებას.

პროფესიული განათლება და ძირითადი მაჩვენებლები

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები და სასწავლებლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შრომის ბაზრის ფორმირებასა და მისი სტრუქტურის სწორად ჩამოყალიბებისათვის. ამ უკანასკნელს შრომითი კაპიტალის შექმნის შესაძლებლობა გააჩნია, რაც მეტად ზრდის მის როლს. პროფესიული მომზადება/გადამზადების შესაძლებლობები ხელს უწყობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარების მიწოდებას და კადრების დეფიციტის აღმოფხვრას. პროფესიული განათლება ბევრ ქვეყანაში კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების საშუალებად არის წარმოდგენილი, რაც დასაქმების ხელშეწყობის ფაქტორს წარმოადგენს. პროფესიული განათლება კვალიფიციური კადრების მიწოდების ინსტრუმენტად არის აღიარებული და შესაბამისად მისი როლი მნიშვნელოვანია ეკონომიკური სექტორების განვითარებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების დანერგვა და განვითარება უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთი მთავარ ინსტრუმენტად შეგვიძლია განვიხილოთ, განსაკუთრებით რეგიონებში სადაც მნიშვნელოვანი აცდენებია შრომის ბაზარზე მოთხოვნილ და მიწოდებულ უნარებს შორის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, აჭარაში ფუნქციონირებს 16 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც კერძო, ასევე საჯარო. გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/მცხეთა-მთიანეთში² ოთხი საგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებს, ხოლო სამეგრელოში ექვსი მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგისტრირებული.

სამიზმე მუნიციპალიტეტებში 16 მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელთაგან 10 ბათუმში, ზუგდიდში-3, ფოთში- 2 და თითო-თითო ოზურგეთში, ქობულეთსა და წალენჯიხაში მდებარეობს.

2020 წლის მონაცემებით, სამივე რეგიონში ჯამურად 185 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა. აღნიშნული პროგრამებიდან, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობისა და ვეტერინარიის მიმართულებით 22 საკვალიფიკაციო პროგრამაა წარმოდგენილი. სხვა დარგობრივი პროგრამები კი შემდეგნაირად არის გადანაწილებული: ბიზნეს ადმინისტრირების და სამართლის მიმართულებით 37 პროგრამა ხორციელდება, ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის დარგში 42 საკვალიფიკაციო პროგრამაა წარმოდგენილი, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგში 23 მოქმედი პროგრამაა, ხოლო დანარჩენი პროგრამები მოიცავს ჯანდაცვის, განათლების და მომსახურების სფეროებს.

რაც შეეხება რეგიონულ განაწილებას, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის მიმართულებით აჭარაში 9 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება, ხოლო სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში 13 პროგრამა არის ხელმისაწვდომი. რეგიონებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების პროგრამები გადანაწილებულია


² საქსტატის მონაცემების მიხედვით, აღნიშნული რეგიონები გაერთიანებულია

შემდგენიარად: აჭარა -10, გურია-2, ხოლო სამეგრელო ზემო-სვანეთი -11. აჭარაში ინჟინერიის, წარმოებისა და მშენებლობის 19 საკვალიფიკაციო პროგრამაა წარმოდგენილი, გურიაში აღნიშნული მიმართულებით 3 საკვალიფიკაციო პროგრამა ხორციელდება, ხოლო სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში ამ მიმართულებით 20 მოქმედი პროფესიული პროგრამაა ხელმისაწვდომი.

პროფესიულ პროგრამების მიმართ სტუდენტთა დაინტერესების შესაფასებლად, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ჩარიცხული სტუდენტების გადანაწილება სხვადასხვა საკვალიფიკაციო პროგრამებზე.

2020 წლის მონაცემებით, აჭარაში პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობა 1615 კაცს შეადგენს, სამეგრელო ზემო-სვანეთში 691 სტუდენტი ჩაირიცხა, ხოლო გურიაში 156 სტუდენტის ჩარიცხვა განხორციელდა. პროგრამების მიხედვით სტუდენტების გადანაწილება, რომელიც მოცემულია დიაგრამა #12-ში, ნათლად ჩანს, რომ შერჩეულ რეგიონებში ჯანდაცვის, ინჟინერიისა და მომსახურების სფეროში არსებული პროგრამები სხვა პროგრამებთან შედარებით მაღალი დაინტერესებით სარგებლობს. აღნიშნული ტენდენცია მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიმჩნევა, რაც ამყარებს მოსაზრებას, რომ სტუდენტების მხრიდან, სოფლის მეურნეობის დარგის საგანმანათლებლო პროგრამებისადმი ინტერესი დაბალია.

დაგრამა 12. ჩარიცხული სტუდენტების გადანაწილება პროგრამების მიხედვით (პროცენტები), 2020 წელი




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საყურადღებოა, რომ მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამუშავებელი წარმოებისათვის საჭირო კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული პროგრამები, მაგალითად, კვების ტექნოლოგია, ჩაის ტექნოლოგია, აგრონომია, აგრომექანიზაცია და ლაბორანტის სპეციალობები. აღნიშნული პროგრამები მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში არის წარმოდგენილი. არსებული პროგრამები საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს შეისწავლონ ჩაის გადამამუშავებელი ტექნოლოგიის, თევზის გადამამუშავების სპეციალისტისა და თევზმომწენების ტექნიკოსის პროფესია და მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაცია.

საქსტატის 2020 წლის მონაცემების თანახმად ირკვევა, რომ საქართველოში პროფესიული კოლეჯების ჩარიცხულ სტუდენტთა შორის 7.2% მოდის გურიის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებზე³. რაც შეეხება, აჭარას, რეგიონში პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა წილი ქვეყნის მასშტაბით საერთო ჩარიცხვების 17.2%-ს შეადგენს, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აღნიშნული მონაცემი 7.4%-ია.

დაგრამა 13. რეგიონების წილი, პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში (პროცენტი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ გავითვალისწინებთ, რომ გურიის მონაცემები, სხვა რეგიონებთან ერთად არის მოცემული, ნათელია, რომ გურიის რეგიონში პროფესიული განათლება, სხვა რეგიონებთან შედარებით ნაკლებად არის განვითარებული, რაც თავის მხრივ საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირითა და შესაბამისად პროფესიული განათლების პროგრამების ნაკლებობით აიხსნება.

საინტერესოა, აჭარისა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონების შედარება. როგორც დიაგრამა #13 გვიჩვენებს, ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან აჭარაში 17%-ია ჩარიცხული, რაც ერთის მხრივ განპირობებულია რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლით, თუმცა საყურადღებოა, რომ სამეგრელო ზემო-სვანეთში, არსებული პროპორციის გათვალისწინებით, ჩარიცხულ სტუდენტთა ოდენობა არა 7.4%-ს, არამედ 10%-ს უნდა შეადგენდეს. აღნიშნული განპირობებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული განლაგებით, რადგან მათი უმრავლესობა კონცენტრირებულია ადმინისტრაციულ ცენტრებსა და დიდ ქალაქებში. სამეგრელოში 6 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ზუგდიდში ფუნქციონირებს 3, ფოთში 2, ხოლო წალენჯიხაში და მესტიაში 1 კოლეჯი.


³ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გურიის მონაცემები არ არის მოცემული განცალკავებით

მნიშვნელოვანია, ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხოვნობის დინამიკაში შედარება. გამოვლინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა რაოდენობა 2017 წლიდან კლების ტენდენციით ხასიათდება. 2016-2019 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 26%-ით არის შემცირებული, ხოლო 2020 წელს აღნიშნული მონაცემი კიდევ შემცირდა და საერთო ჯამში, 2016-2020 წელს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 40%-ით არის შემცირებული, რაც მიუთითებს, რომ ქვეყნის მასშტაბით, პროფესიული განათლების მიმართ ინტერესი შემცირებულია.

გურიის⁴ რეგიონისთვის არ არსებობს ცალკე მონაცემები პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტთა შესახებ, რაც უშუალოდ ამ მაჩვენებლის სიმცირით არის განპირობებული, შესაბამისად შეუძლებელია ამ ეტაპზე კონკრეტულად განვსაზღვროთ გურიის რეგიონში პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულთა დინამიკა. ამ ეტაპზე, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისთვის პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულთა მონაცემები ჯამურად არის მოცემული, თუმცა სამივე რეგიონისთვის ჩარიცხვები მაჩვენებელი 2017 წლიდან მცირდება. 2018 წელს ჩარიცხულთა რიცხოვნობა ამავე რეგიონში, 20%-იანი კლებით ხასიათდება, რაც ასევე გრძელდება 2019 წელსაც და კლების მაჩვენებელი 25% ს აღწევს.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, ჩარიცხულთა რაოდენობა გურიის რეგიონში 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, 81% -ით გაიზარდა და 680 ჩარიცხული სტუდენტი შეადგინა. ვინაიდან, ჩარიცხვების სტატისტიკა გურიის რეგიონისთვის ცალკე არ არის გამოყოფილი და ასახავს რამდენიმე რეგიონის საერთო მონაცემს, ამ ეტაპზე რთულია დავასკვნათ, რომ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა მხოლოდ გურიის რეგიონში მოხდა.

დაგრამა 14. რეგიონებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა რაოდენობა, წლების მიხედვით (ერთეული)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


⁴ გურიის მონაცემებში შესულია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი/მცხეთა-მთიანეთის რეგიონების მონაცემები

რაც შეეხება აჭარას, 2016 წელთან შედარებით, 2017 წლის ჩარიცხულთა მაჩვენებელი 34% -ით გაიზარდა, თუმცა ეს განპირობებული იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვის ზრდით (9 დან 15 მდე). შემდეგ წლებში, ძირითადად შეიმჩნევა სტაბილური მდგომარეობა და ცვლილებები 2017, 2018, 2019 წლებში მართალია, მცირე, თუმცა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა 2020 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა მაჩვენებელი 57% -ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ რეგიონში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვის ცვლილება ამავე წლებში მოხდა, შესაბამისად, ეს მაჩვენებელი პირდაპირ მიბმულია ამ ცვლილებაზე.

სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში არ მომხდარა საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის რადიკალური ცვლილება. 2016, 2017 და 2018 წლებში, ჩარიცხულთა მონაცემები 38% -ანი კლებით ხასიათდებოდა, თუმცა 2019 წელს 2018 თან შედარებით, მაჩვენებელი 21%-ით გაიზარდა, იმ პირობებში, რომ რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა სამით შემცირდა. რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი ინტერესი სამეგრელოში, სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო მაღალია და სტაბილური, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 12%-ით არის შემცირებული.

2020 წელს განხორციელდა კვლევა- „პროფესიული განათლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი“⁵, რომლის შედეგებიდანაც ნათლად ჩანს, რომ სამივე საკვლევ რეგიონში, ისევე როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი მოსახლეობის ინტერესი საკმაოდ დაბალია (იხილეთ დანართი, ცხრილი #7).

დაგრამა 15. პროფესიულ კოლეჯებში რეგისტრანტთა რაოდენობა, რეგიონების ჭრილში, 2019 წ



⁵ <https://www.mes.gov.ge/uploads/files/SOCIO-ECONOMIC%20STATUS%20OF%20VOCATIONAL%20EDUCATION%20STUDENTS-GEO.PDF>

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებულ კვლევაში „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“⁶, რომლის ფარგლებში გამოიკითხა 9000 კომპანია საქართველოს მასშტაბით, გამოვლინდა, რომ განათლების მიღწეული დონის მიხედვით დასაქმებულთა შორის, პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, 14,2%-ს შეადგენენ, ხოლო უმაღლესი განათლებისა და საშუალო განათლების მქონე დასაქმებულები 57,8%-სა და 28%-ს. პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი ნაწილობრივ განპირობებულია, იმით რომ პროფესიული პროგრამების ფარგლებში მიღებული უნარები არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ამასთანავე, ზოგადად დამსაქმებლების მხრიდანაც არის სკეპტიკური დამოკიდებულება პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების მიმართ, რადგან თვლიან რომ აღნიშნული კონტიგენტის კვალიფიკაცია არ არის საკმარისი მათ მიერ განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად.

საგულისხმოა, რომ ამავე კვლევის თანახმად, გამოიკვეთა სუსტი თანამშრომლობა დამსაქმებლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის, რაც ასევე ართულებს შრომის ბაზრის საჭიროებაზე მორგებული პროგრამების შემუშავებასა და პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. გამოიკითხულ საწარმოთა შორის (9000 საწარმო) მხოლოდ 2% თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ხოლო რეგიონების ჭრილში, პროფესიულ კოლეჯსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის კუთხით, თბილისის შემდეგ, ლიდერობს აჭარა (16%), რომელსაც მოსდევს ქვემო ქართლი (10%), სამცხე-ჯავახეთი (5%), იმერეთი (4%), დანარჩენი რეგიონები (12%).

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარების პერსპექტივები

საქართველოში პროფესიული განათლების ერთ-ერთი მიმართულებაა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც 2016 წლიდან დაინერგა საქართველოს პროფესიულ სასწავლებლებში. აღნიშნული მეთოდი, შესაძლებლობას იძლევა თეორიულ ცოდნასთან ერთად მოხდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც აძლიერებს მომავალში კადრის დასაქმების შესაძლებლობას. ამასთანავე, აღნიშნული მეთოდის კიდევ ერთ მნიშვნელოვან უპერატესობას წარმოადგენს ბიზნეს სექტორის ჩართულობის შესაძლებლობა როგორც პროგრამების შემუშავებაში, ასევე განხორციელების, კონტროლის და ხარისხის უზრუნველყოფაში. გარდა ამისა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი ხელს უწყობს სხვადასხვა სექტორში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების მხრიდან საჭირო კადრების მოძიებასა და მომზადების პროცესს, განურჩევლად საწარმოს ზომისა, რაც თავის მხრივ საწარმოს განვითარების და მთლიანად ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

⁶ <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=7d9ca7cd-cc1b-45ed-9f8f-394b060d9abe#page=51&zoom=100,80,204>

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმებია: პრაქტიკა, სტაჟირება, სიმულაცია და ა.შ. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ყველაზე განვითარებულ ფორმას დუალური პროფესიული განათლება წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია პოტენციალი უპასუხოს შრომის ბაზრის საჭიროებებს, რადგან მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებს როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნეს სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება.

საკვლევ რეგიონებში 70-მდე დუალური პროგრამა ხორციელდება, რომელიც აერთიანებს ისეთ მიმართულებებს, როგორც არის ინჟინერია, წარმოება, მშენებლობა, ბიზნეს ადმინისტრირება და სამართალი, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მეტყევეობა და ვეტერინარია. ვიწრო სპეციალობების კუთხით კი, დუალური პროგრამები ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვის, სასტუმროს და სარესტორნო მომსახურების, შედულების, კულინარიის ხელოვნების, დეკორატიული მეხადეობის, ანაკრების, მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის მიმართულებით.

გამომდინარე იქიდან, რომ სოფლის მეურნეობა საკვლევ რეგიონებში მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ამასთანავე, განვითარების პოტენციალი გააჩნია, კვალიფიციური კადრების მომზადება აღნიშნულ დარგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სექტორის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობის დარგში არსებობს მნიშვნელოვანი დეფიციტი დარგობრივი ცოდნის მქონე კადრების კუთხით, რაც განსაკუთრებით მწვავედ დგას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში. სოფლის მეურნეობის დარგში გამოკითხული საწარმოების უმეტესობამ დააფიქსირა მოთხოვნა ისეთ სპეციალობებზე როგორც არის: აგრონომი (კენკროვანი კულტურების (მარწყვი და ლურჯი მოცვი), მეყვავილეობის, მევენახეობის, სასათბურე კულტურების, მეთხილეობის მიმართულებით), ასევე ნიადაგმცოდნე, მიკრობიოლოგი, იხტიოლოგი, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ვეტერინარი, თევზმომწენების და თევზის მეურნეობის ლაბორანტი, მეფუტკრე და დამხმარე პერსონალი, ჩაის და თხილის მკრეფავი და გადამრჩევი, ჩაის, ღვინის, ჩირის ტექნოლოგი და ასევე სომელიე.

აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით მცირე ზომის საწარმოები, ახორციელებენ საკუთარი რესურსით, ადგილზე კადრის სწავლებით. ვინაიდან, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, გულისხმობს პრაქტიკული უნარების მიღებას საწარმოებში, ნათელია, რომ ამ მეთოდის დანერგვისა და გაფართოების აუცილებლობა დღის წესრიგში დგას. შესაბამისად, სწორი კომუნიკაციის პირობებში შესაძლებელია საგანმანათლებლო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაფართოება და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მეშვეობით კადრების არსებული დეფიციტის აღმოფხვრა შედარებით უფრო ნაკლები დანახარჯით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს სუბიექტების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი ინფორმირებულობის დონე პროფესიული განათლების პროგრამებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების შესახებ საკმაოდ დაბალია. აღნიშნული, განპირობებული კომუნიკაციის ნაკლებობით პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებსა და

ბიზნეს სექტორს შორის. შესაბამისად, მჭიდრო სექტორული თანამშრომლობის გასაძლიერებლად, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ამაღლდეს ცნობადობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის პოტენციური სარგებლის შესახებ, ამასთანავე, ეტაპობრივად ჩამოყალიბდეს მჭიდრო თანამშრომლობა კერძო სექტორსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის, რათა მოხდეს ბიზნესის საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადება.

შერჩეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოტენციალი

ბიზნეს სექტორის განვითარების დონე, არსებული რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ რეგიონის ეკონომიკური განვითარების პოტენციალზე. აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია სამიზნე რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის მიმოხილვა.

აჭარა

აჭარის რეგიონი ეკონომიკური პოტენციალის ათვისების თვალსაზრისით ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად რეგიონს წარმოადგენს. დღესდღეობით, ტურიზმი, დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ენერჯეტიკა და სოფლის მეურნეობა იმ სექტორებს წარმოადგენს, რომლებიც ქმნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალს რეგიონის მასშტაბით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ აჭარის რეგიონში მკვეთრად არის გამოხატული ტურიზმის განვითარების ტენდენციები, არსებული პოტენციალი ამ ეტაპზე სრულად არ არის ათვისებული. ძირითადად, ვიზიტორთა უმეტესი წილი ზღვისპირა კურორტებზე მოდის, მაშინ როცა რეგიონის მასშტაბით არსებობს საინტერესო ლოკაციები, რომლებსაც ტურისტული კუთხით განვითარების ათვისებელი პოტენციალი გააჩნიათ.

ტურიზმის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის გამოსაყოფია, მრავალფეროვანი დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული პარკების არსებობა, როგორც არის მტირალასა და მაჭახელას ეროვნული პარკები, ასევე ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები, რომელთაც გააჩნიათ საკმაოდ მნიშვნელოვანი პოტენციალი მოიზიდონ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ვიზიტორები. ამასთანავე, დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და ტურიზმის ზრდა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ უშუალოდ დაცული ტერიტორიების ფინანსურ მდგრადობას, ასევე მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული პოტენციალის ათვისება შესაძლებელია როგორც ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, რომელიც ხელს შეუწყობს წვდომას პოტენციურ ტურისტულ ლოკაციებთან, ასევე ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების დივერსიფიკაციით, რომელიც მოიზიდავს ზღვისპირა კურორტების დამსვენებლებს აღნიშნულ ლოკაციებზე (მაგ. მოკლე, ერთდღიანი ტურები).

დღესდღეობით, სოფლის მეურნეობის წილი რეგიონის მშპ-ში 4%-ს შეადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებიდან მიღებულ შემოსავლებს რეგიონის მოსახლეობის შემოსავლებში საკმაოდ უმნიშვნელო წილი უკავია. აღნიშნულს განაპირობებს, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს განვითარების მაღალი დონე სხვა სექტორებთან შედარებით, რის გამოც რეგიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, სწორედ ტურიზმისა და მომსახურების სფეროშია დასაქმებული.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა სექტორების განვითარებას, შეიძლება ითქვას რომ რეგიონის ბუნებრივი პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის ხელსაყრელ პირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოებისა და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისთვის.

სოფლის მეურნეობის ქვედარგებიდან აჭარაში ხელსაყრელი პირობებია ისეთი პროდუქციის წარმოებისათვის, როგორც არის ჩაი, ციტრუსოვანი კულტურები და თხილი, თაფლი, ლურჯი მოცვი, ყურძენი. დღესდღეობით, აჭარის რეგიონი ციტრუსის პირველადი წარმოების მოცულობით პირველ ადგილს იკავებს, ხოლო ჩაის წარმოების მოცულობის მხრივ გურიის შემდგომ მეორე ადგილზე იმყოფება. თუმცა აღსანიშნავია, რომ პირველად წარმოებასთან ერთად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავების საქმიანობების განვითარება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა და საპორტო ქალაქის არსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის პროდუქციის ექსპორტისთვის, როგორც საზღვაო ასევე სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებით. აღნიშნული გარემოება იძლევა საშუალებას სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების განვითარებისთვის, სადაც მოხდება პროდუქტის შენახვა-დასაწყობება შემდგომში საექსპორტო ბაზრებზე გასატანად.

ასევე, აჭარას სათევზე მეურნეობების განვითარების პოტენციალი გააჩნია, რომლის ათვისებასაც აფერხებს შესაბამისი საკვები ბაზრების შეზღუდული ხელმისაწვდომობა. თუმცა სექტორის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნის ზრდამ თევზის საკვებზე შესაძლოა ხელი შეუწყოს ხელოვნური საკვების წარმოების განვითარებასა და ღირებულების ერთიანი ჯაჭვის შეკვრას. ამასთანავე, გარდა ნედლეულის ხელმისაწვდომობისა მნიშვნელოვანია თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გადმოტანა, რათა უზრუნველყოფილი იქნას დარგის პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ქვედარგებში დაინერგოს პროდუქციის წარმოების თანამედროვე მეთოდები, გაიზარდოს ფერმერთა ცოდნა ბიზნესის მართვისა და მეწარმეობის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ეფექტურად უზრუნველყონ გაყიდვების არხების მართვა და დაიმკვიდრონ ადგილი პროდუქტის გასაღების ბაზარზე.

მიუხედავად არსებული პოტენციალისა, ზემოთ ჩამოთვლილი დარგების განვითარება, შეუძლებელია, შრომითი კაპიტალის განვითარების გარეშე. შესაბამისად, აუცილებელია ეტაპობრივად მოხდეს ადგილობრივი კადრების კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია როგორც მოკლე და ასევე გრძელვადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებით, რომლებიც დაფუძნებული იქნება სწავლების როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეთოდებზე. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობების განვითარება, ლოჯისტიკური ცენტრების მოწყობა და სოფლის მეურნეობის დარგზე მორგებული საკონსულტაციო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს დარგში თანამედროვე ცოდნის განვითარებას, ტექნოლოგიური

პროცესების დახვეწას, პროდუქტის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ზრდასა და გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციას.

სამეგრელო ზემო-სვანეთი

სამეგრელო ზემო-სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები საკმაოდ მნიშვნელოვან პოტენციალს ქმნის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის. სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონი სატრანსპორტო კორიდორების გადაკვეთის წერტილში მდებარეობს, ამასთანავე რეგიონში ფუნქციონირებს ფოთისა და ყულევის პორტები, რომელთა მიერ დამუშავებული და გადაზიდული ტვირთების რაოდენობა ქვეყანაში საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების 75%-ს შეადგენს. ამასთანავე, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის არსებობა მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის წარმოების განვითარებისთვის. სწორედ აღნიშნული ფაქტორები განაპირობებს ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობების მაღალ წილს რეგიონის მშპ-ში, რომელიც 20%-ს შეადგენს⁷.

რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ კლიმატური პირობებია წარმოდგენილი, განსაკუთრებით მემცენარეობის დარგისათვის. დღესდღეობით, სოფლის მეურნეობის დარგის წილი რეგიონის მშპ-ში 13%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე დგას. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ძირითადად რეგიონში განვითარებულია სიმინდისა და თხილის წარმოება. აღნიშნული კულტურების წარმოებით რეგიონი ქვეყნის მასშტაბით მოწინავე ადგილზე იმყოფება.

ასევე, რეგიონში განვითარებულია მეცხოველეობა, ძირითადად მესაქონლეობა და მელორეობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის სულადობის მიხედვით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ქვეყნის მასშტაბით მოწინავე ადგილზე იმყოფება⁸.

ამასთანავე, აღსანიშნავია რომ რეგიონში თანდათანობით ვითარდება მეფუტკრეობა. 2016-2019 წლებში რეგიონში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 39%-ით არის გაზრდილი. 2019 წლის მონაცემებით, რეგიონში ფუტკრის ოჯახის რაოდენობა აღემატებოდა 39 ათას სკას და აღნიშნული მაჩვენებლით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, იმერეთისა და კახეთის შემდგომ, მესამე ადგილს იკავებს.

გარდა არსებული სექტორებისა, სამეგრელოს რეგიონში არსებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა ისეთი კულტურების განვითარებისთვის, როგორცაა დაფნა, რომელიც ერთ-ერთ მოთხოვნად საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენს. 2019 წელს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აღნიშნული კულტურის წარმოებას საკმაოდ მაღალი მოგების

⁷ წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეგიონული სტატისტიკა, იხ.ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>

⁸ წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეგიონული სტატისტიკა, იხ.ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>

მარჯა აქვს (76%) და წელიწადში ერთ ჰექტარზე 7,500 ლარის შემოსავლის მიღების პოტენციალი გააჩნია.⁹

მიუხედავად სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პოტენციალისა, შეიძლება ითქვას რომ დაბალი პროდუქტიულობა, თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების სიმწირე, ღირებულებათა ჯაჭვის სისუსტე აფერხებს დარგის კონკურენტუნარიანობას. შესაბამისად, აღნიშნული დარგი დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, რაც განპირობებულია, მოძველებული და ამორტიზირებული გენეტიკური მასალით, ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობით, ფინანსური რესურსის დაბალი ხელმისაწვდომობით, მიწები და გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირით. შესაბამისად, დარგის კონკურენტუნარიანობისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ღირებულებათა ჯაჭვის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს როგორც ნედლეულისა და ტექნიკის ხელმისაწვდომობას, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამუშავებელი საწარმოების, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების განვითარებას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სასათბურე და სანერგე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების წარმოების ხელშესაწყობად.

რამდენადაც ცოდნისა და ინფორმაციის არსებობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დარგში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების დასაწერად, მიზანშეწონილია მოხდეს საკონსულტაციო და მომსახურების ცენტრების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი მეწარმეებისა და ფერმერებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებასა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევას პროდუქციის მოყვანისა და შენახვის თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. რეგიონში აღნიშნულის განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც არსებული პროდუქციის გაძლიერებას, ასევე ისეთი კულტურების მოსავლიანობის გაზრდას, როგორცაა ფეიხოა, ხურმა, ყურძენი, ასევე ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობის რამდენჯერმე გაზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველად წარმოებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის დარგში მნიშვნელოვანია დამამუშავებელი მრეწველობის, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ძლიერი ღირებულებათა ჯაჭვის ჩამოყალიბებას და დარგის მომგებიანობის ზრდას. ამ ეტაპზე, რეგიონში არსებული დამამუშავებელი საწარმოების მხოლოდ თხილის გადამამუშავებაზეა ორიენტირებული. ჩაისა და ყურძნის გადამამუშავება კი მხოლოდ მცირე მასშტაბით ხორციელდება.

გარდა ამისა, რეგიონში მაღალია ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ ანაკლიისა და განმუხურის ზღვის კურორტული ლოკაციის არსებობით, ხოლო მეორეს მხრივ კოლხეთის ეროვნული პარკის, მარტვილის კანიონებისა და ტობავარჩხილის ტბების, სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული ძეგლების არსებობით. მიუხედავად არსებული პოტენციალისა, დღესდღეობით ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები რეგიონის მთლიან შიდა პროდუქტში უმნიშვნელო წილს

⁹ წყარო: დაფნის ფოთლის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, PMC Research, 2019 წელი, იხ. ბმული: https://pmcresearch.org/policypapers_file/3f925c934622ef10d.pdf

იკავებს, რაც განპირობებულია ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების სიმცირით. დღესდღეობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით მე-7 ადგილს იკავებს, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით კი სხვა დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ბოლო ადგილზე დგას.¹⁰

ტურისტული კუთხით რეგიონში ძირითადად მეტწილად სვანეთის მხარეა განვითარებული, მესტია, უშგული და მიმდებარე სოფლები ერთ-ერთ საინტერესო ტურისტულ ლოკაციებად არის აღიარებული და პოპულარობით სარგებლობს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ვიზიტორებს შორის. რაც შეეხება სამეგრელოს მხარეს, ტურისტული თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად არის განვითარებული.

მიუხედავად ვიზიტორთა სიმრავლისა, სამეგრელოს და კერძოდ კოლხეთის დაბლობის ტერიტორიას აუთვისებელი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. აღნიშნული განპირობებულია როგორც დაცული ტერიტორიების არსებობით, ასევე არქეოლოგიური და კულტურული ძეგლების სიმრავლით. დღესდღეობით, მარტვილის კანიონი, ერთ-ერთია იმ დაცულ ტერიტორიებს შორის, რომელიც ტურისტებს შორის საკმაოდ მაღალი პოპულარობით სარგებლობს. ამასთანავე, შედარებით ნაკლებად არის ათვისებული კოლხეთის ეროვნული პარკის ეკოტურიზმის პოტენციალი, სადაც უამრავი სახეობის ფრინველი იყრის თავს და საინტერესო ლოკაციას წარმოადგენს ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულთათვის (Birdwatching). ამასთანავე, ადგილობრივი პირობები საშუალებას იძლევა განვითარდეს სხვადასხვა სახის ტურისტული სერვისები, მაგ. სამოყვარულო თევზჭერა, საცხენოსნო ტურიზმი, სპორტული ნაოსნობა და სხვა.

ტურისტული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონის ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად, რომელიც გათვლილი იქნება როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ვიზიტორებზე. ყოველივე ეს კი, რეგიონის ტურისტული პოტენციალის ათვისებას შეუწყობს ხელს და განვითარების სასტუმროებისა და საკვების მიწოდების საქმიანობების სექტორს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის, მნიშვნელოვანია, აღნიშნული ლოკაციების პოპულარიზაცია, ერთი მხრივ ადგილობრივ, ხოლო მეორეს მხრივ საერთაშორისო დონეზე.

გურიის რეგიონი

ეკონომიკური განვითარების კუთხით, გურია მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა დანარჩენ რეგიონებს. გურიის რეგიონში შექმნილი პროდუქციის წილი ქვეყნის ჯამური მშპ-ს 1.7%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და რეგიონის დაბალ ეკონომიკურ განვითარებაზე მიუთითებს.¹¹

¹⁰ წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ტურიზმის სტატისტიკა, იხ. ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/100/turizmis-statistika>

¹¹ წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, იხ. ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

რეგიონის მშპ-ში ძირითადი წილი სოფლის მეურნეობას და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს უჭირავს. სოფლის მეურნეობის დარგში რეგიონში ძირითადად გავრცელებულია სიმინდის, ბოსტნეულის, თხილის, ჩაისა და ციტრუსების (მანდარინი, ლიმონი) მოყვანა. აღსანიშნავია, რომ 2016-2019 წლებში რეგიონში ჩაის ფოთლის წარმოება თითქმის გაორმაგებულია, თუმცა მაინც საკმაოდ მცირეა და წლიურად 800 ტონას შეადგენს. აღსანიშნავია, რომ რეგიონის სუბტროპიკული კლიმატი და ბუნებრივი პირობები, ქმნის წინაპირობას ისეთ კულტურების განვითარებისთვის როგორცაა ჩაი, ციტრუსი, კენკროვანი კულტურები (ლურჯი მოცვი), ხურმა, ზეთისხილი, ავოკადო, ასევე ბამბუკი, ევკალიპტი და დაფნა, რომელიც ასევე საკმაოდ მოთხოვნად და ძვირადღირებულ პროდუქტს წარმოადგენს¹².

გასული წლების განმავლობაში საკმაოდ პოპულარული გახდა კენკროვანი კულტურების წარმოება, რომელიც ერთ-ერთ ძვირადღირებული პროდუქტს წარმოადგენს და საკმაოდ დიდი მოთხოვნით სარგებლობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. გურიაში არსებული მაღალი მჟავიანობის მქონე ნიადაგი და კლიმატური პირობები, საკმაოდ პერსპექტიულ შესაძლებლობებს ქმნის ლურჯი მოცვის წარმოების განსავითარებლად და ასევე საკმაოდ ძლიერი ღირებულებათა ჯაჭვის შესაქმნელად, რომელიც მოიცავს როგორც ნედლეულისა და წარმოებისთვის საჭირო ტექნიკის მიწოდებას, ასევე მეორადი გადამუშავების, შენახვა-დასაწყობებისა და სარეალიზაციოდ მომზადების სამუშაოებს.

მიუხედავად არსებული პოტენციალისა, სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქტიულობის დაბალი დონე სექტორის განვითარების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია საქმიანობების კონცენტრირებით ძირითადად მცირე ზომის მეურნეობებში, რომელთაც არ აქვთ საკმარისი რესურსი უზრუნველყონ საკმარისი რაოდენობის პროდუქტის წარმოება მიწოდების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, რაც ამცირებს პროდუქტის გასაღების შესაძლებლობებს. ამასთანავე, ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობა, კვალიფიციური კადრების სიმწირე ასევე შემზღვეველ ფაქტორებს წარმოადგენენ დარგის განვითარების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს ინფორმაციისა და ცოდნის მიწოდებას ისეთ სფეროში, როგორცაა პროდუქციის მოვლა-მოყვანის თანამედროვე მეთოდები, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კენკროვანი კულტურების (ლურჯი მოცვის წარმოების) მიმართულებით, რამდენადაც მოცვის წარმოების ტექნოლოგია საკმაოდ სპეციფიურია და საჭიროებს ცოდნას პროდუქციის მოვლა-შენახვის მეთოდების შესახებ რათა უზრუნველყოფილი იქნას ხარისხიანი პროდუქტის მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის დარგში რეგიონი არ გამოირჩევა მსხვილი ბიზნესის სიმრავლით, შესაძლებელია აღნიშნული ფაქტორი გამოყენებული იქნას როგორც კონკურენტული უპირატესობა, და პირველადი პროდუქციის წარმოებისას აქცენტი გაკეთდეს არა მასშტაბური და მსხვილი წარმოების განვითარებაზე, არამედ მცირე მასშტაბის,

¹² წყარო: გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014-2021, იხ.ბმული: <http://guria.gov.ge/res/docs/2014072514140650315.pdf>

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც საკმაოდ მოთხოვნილია საერთაშორისო ბაზრებზე.

სოფლის მეურნეობის გარდა, რეგიონში ასევე არსებობს ტურიზმის აუთვისებელი პოტენციალი. ძირითადად ტურისტების ნაკადი შავი ზღვის საკურორტო ზონაში იყრის თავს, ხოლო რეგიონის მთიანი და სასოფლო დასახლებების ლანდშაფტი და ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა განვითარდეს მცირე, მოკლევადიანი ტურები როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. ამასთანავე, აჭარის შავი ზღვის კურორტთან სიახლოვე, საშუალებას იძლევა მოხდეს არსებული დამსვენებლების მოზიდვა ერთ ან ორ-დღიან ტურების შეთავაზებით. ამის კარგი მაგალითია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შექმნილი ტურისტული მარშრუტი „ჩაის გზა“, რომელიც გულისხმობს ჩაის გადამამუშავებელი მცირე ზომის საწარმოების დათვალიერებასა და მათი ნაწარმის დეგუსტაციას და ასევე ღვინის ტური ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, რომელიც გულისხმობს მცირე ზომის ღვინის მარნების დათვალიერებას და მათი პროდუქტის დეგუსტაციას.¹³ მიუხედავად გარკვეული ნაბიჯებისა, რეგიონის ტურისტული პოტენციალის სრულად ასათვისებლად მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების დივერსიფიკაცია, ასევე ტურისტული პოტენციალის მქონე ადგილების პოპულარიზაცია.


სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის გარდა, რეგიონში არსებობს დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პოტენციალი, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობს რეგიონის დონეზე იაფი მუშახელის არსებობაც. სამრეწველო მიმართულებით, მნიშვნელოვანია კვების მრეწველობის დარგის განვითარება, რაც პირდაპირ არის მიბმული სოფლის მეურნეობის პროდუქტის პირველადი წარმოების განვითარებაზე. აღნიშნული, ხელს შეუწყობს დარგში ძლიერი ღირებულებათა ჯაჭვის შექმნას და პროდუქციის გასაღების შესაძლებლობების ზრდას. მნიშვნელოვანია რეგიონში სამრეწველო მიმართულების განვითარება, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებას, შენახვას-დასაწყობებას, შეფუთვისა და სარეალიზაციოდ მომზადებას, ხოლო მეორეს მხრივ რეგიონში იაფი მუშახელის არსებობა, შესაძლებლობას ქმნის მოხდეს ნედლეულის წარმოება და მიწოდება არსებული გადამამუშავებელი საწარმოებისთვის.

¹³ წყარო: გურიის რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში, იხ.ბმული: <https://www.asociereba.ge/files/SYS-GC-Guria-Regional-Strategy-Monitoring-2019n.PDF>

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 184 ბიზნეს სუბიექტი, რომელთაგან 40.4% გამოიკითხა აჭარის რეგიონში, 34.4% სამეგრელოში, ხოლო, გურიის რეგიონში რესპოდენტთა საერთო რაოდენობის 25.1% გამოიკითხა. გურიაში აღნიშნული მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ სხვა შერჩეულ რეგიონებთან შედარებით, გურიაში მეტი საწარმოა, რომელმაც შეწყვიტა ფუნქციონირება, რაც ბიზნეს სექტორის განვითარების შედარებით დაბალ დონეზეც მეტყველებს.


გრაფიკი1. კვლევის ფარგლებში გამოიკითხულთა გადანაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: PMO

გრაფიკი # 2-დან ჩანს, რომ რესპოდენტების უმეტესი ნაწილი რეგიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში ფუნქციონირებენ, შესაბამისად აჭარაში გამოიკითხულთა საერთო რაოდენობიდან, 54% ბათუმში გამოიკითხა. ანალოგიური მაჩვენებელია სამეგრელოშიც, სადაც ზუგდიდის წილი 60% შეადგენს, ხოლო გურიის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრის მაჩვენებელი 76% აღწევს. ამავე გრაფიკიდან, ჩანს რომ აჭარის რეგიონში ბიზნეს სექტორის განაწილება შედარებით თანაბარია მუნიციპალიტეტების ჭრილში, ხოლო სამეგრელოსა და გურიაში ვითარება საპირისპიროა, რაც რაიონულ ჭრილში ბიზნესის სუსტ განვითარებაზე მიუთითებს.

გრაფიკი2. გამოიკითხული ბიზნეს სუბიექტების გადანაწილება მუნიციპალიტეტების ჭრილში




წყარო: PMO

გამოკითხული ბიზნესების სექტორული გადანაწილება ძირითადად მოიცავს სოფლის მეურნეობას, სასტუმროებისა და კვების ობიექტების საქმიანობებს და დამამუშავებელ მრეწველობას. თუმცა კვლევის მიზნებისთვის, შერჩეულ სექტორებს დაემატა ის სუბიექტები, რომლებიც თანამშრომლობენ საგანმანათლებლო სექტორთან. შესაბამისად, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში დარგობრივი დაფარვა უფრო გაფართოვდა და გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტებს შორის არიან როგორც მშენებლობის, ჯანდაცვის და ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობებში მოქმედი ორგანიზაციებიც.

გამოკითხულთა შორის, აჭარის რეგიონში 47% სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი ბიზნესია. გურიაში აღნიშნული მონაცემი 50% შეადგენს, ხოლო სამეგრელოში სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი ბიზნესების წილი, გამოკითხულთა საერთო რაოდენობაში, 33.3%-ს წარმოადგენს. აღნიშნული მონაცემი განპირობებულია იმით, რომ სამეგრელოში სოფლის მეურნეობის დარგის გარდა, კვლევისას აქცენტი გაკეთდა განთავსების საშუალებების უზრუნველყოფის დარგზე, რომელიც მოიცავდა მცირე ზომის საოჯახო ტიპის სასტუმროებს.

გრაფიკი 3. გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სფეროები რეგიონულ ჭრილში




წყარო: PMO

სამივე რეგიონში შერჩეული დარგებიდან ყველაზე მეტი გამოიკითხა მემცენარეობის, მეცხოველეობის და მასთან დაკავშირებული მომსახურების გამწვევი ორგანიზაციები. თუმცა, აღნიშნულ ქვედარგებში მოქმედი ორგანიზაციების ყველაზე მეტი რაოდენობა აჭარაში გამოიკითხა და მოიცავდა 31 ბიზნეს სუბიექტს. გურიაში, აღნიშნულ ქვედარგში გამოკითხულთა რაოდენობა 21 ბიზნეს სუბიექტს შეადგენს, ხოლო სამეგრელოში 19 ბიზნეს სუბიექტის გამოკითხვა განხორციელდა.

საყურადღებოა, რომ დამამუშავებელი მრეწველობის ქვედარგებიდან გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი კვების პროდუქციის მწარმოებელი კომპანიაა, ხოლო სხვა ქვედარგები,

როგორც არის ქაღალდის წარმოება, ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოება, პლასტმასის ნაწარმისა და სხვა არალითონური პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები, სამივე რეგიონში ნაკლებად არიან წარმოდგენილი, რაც მიუთითებს კვების პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების საქმიანობების განვითარების უფრო მაღალ დონეს მრეწველობის სხვა დანარჩენ ქვედარგებთან შედარებით.


გრაფიკი 4. გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტების რაოდენობები რეგიონებისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით



წყარო: PMO

მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვის მიხედვით, სამივე რეგიონში საწარმოთა ნახევარზე მეტი მცირე ზომის ბიზნესებია, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 5 დან 20 თანამშრომელს მოიცავს. სამეგრელოში ასეთი კომპანიების 54%-ია წარმოდგენილი, გურიაში აღნიშნული მონაცემი 66.7%-ს, ხოლო აჭარაში 64.4%-ს შეადგენს. შესაბამისად, ნათელია, რომ სამივე რეგიონში მეტად განვითარებულია მცირე ზომის ბიზნეს სუბიექტები, ხოლო მსხვილი დამსაქმებლების წილი საკმაოდ დაბალია. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ აჭარაში სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტნაკლებად მაღალია მსხვილი დამსაქმებლების (100 მეტი თანამშრომელი) წილი და ის 15.1% შეადგენს, სამეგრელოში აღნიშნული მაჩვენებელი 12.7% შეადგენს, ხოლო გურიაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია და ის მხოლოდ გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 8.9%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლები განპირობებულია იმით, რომ აჭარაში საკვლევ არეალში მსხვილი სასტუმროები და სამშენებლო კომპანიები მოხვდნენ. სამეგრელოში კი დამამუშავებელი მრეწველობის, გარდა ფარმაციის დარგში მოქმედი კომპანიებიც გამოიკითხა, რომლებიც ერთ-ერთ მსხვილს დამსაქმებლებს წარმოადგენენ.

გრაფიკი 5. გამოკითხული ბიზნეს სუბიექტები თანამშრომლების რაოდენობისა და რეგიონების მიხედვით



წყარო: PMO


კვლევის მიზნებისთვის საშუალო ზომის ბიზნესად მოიაზრება ისეთი კომპანია, რომლის თანამშრომლების რაოდენობა მერყეობს 20 და 100 -მდე. შესაბამისად, სამეგრელოში საშუალო ზომის 33%-ზე მეტი კომპანია გამოკითხა, აჭარაში 20.5%, ხოლო გურიაში აღნიშნული მაჩვენებელი 24.4% შეადგენს.

საყურადღებოა, რომ დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, გურიაში საშუალო ზომის კომპანიები ძირითადად სოფლის მეურნეობის სფეროში არიან წარმოდგენილი. მაშინ როდესაც, აჭარაში და სამეგრელოში საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სფერო უფრო მრავალფეროვანია და მოიცავს, როგორც დამამუშავებელ მრეწველობას, ასევე მშენებლობას, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროს.

საკვლევი სექტორების მიხედვით, მცირე ზომის საწარმოების რიცხვი ყველაზე მაღალი სოფლის მეურნეობის დარგშია. მცირე ზომის კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20 თანამშრომელს. სოფლის მეურნეობის სექტორში გამოკითხული მცირე ორგანიზაციების წილი გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 72%-ს შეადგენს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სექტორიდან გამოკითხული მსხვილი ორგანიზაციების წილს, მათი რიცხვი დარგში გამოკითხული რესპონდენტების საერთო რაოდენობის 6.3%-ს შეადგენს. მაშინ როდესაც დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში გამოკითხულთა საერთო რაოდენობაში მსხვილი კომპანიების წილი 19.4%-ს შეადგენს, ხოლო სასტუმროებისა და საკვების მიწოდების სექტორში, მსხვილი კომპანიები გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 16.1%-ს შეადგენენ. რაც შეეხება საშუალო ზომის ბიზნესების გადანაწილებას, სამივე შერჩეულ დარგში, მათი წილი გამოკითხულთა საერთო რაოდენობაში 20% და 25% მდე მერყეობს.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში ბიზნეს სუბიექტები არ არიან დიდი დამსაქმებლები, ვინაიდან მათი უმეტესობა მცირე ზომის საწარმოებს წარმოადგენს. რაც შეეხება დამამუშავებელ მრეწველობასა და სასტუმროებისა და საკვების მიმწოდების დარგებს, მათი უმეტესი ნაწილი საშუალო და მსხვილ დამსაქმებლებად გვევლინება, რაც ცალსახად მიანიშნებს დარგის განვითარების დონეზე და დასაქმების პერსპექტივის გამოხატულ არსებობაზე.

გრფიკი. გამოკითხული ბიზნეს სუბიექტები თანამშრომლების რაოდენობისა და დარგების მიხედვით



წყარო: PMO

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპოდენტების უმეტესი ნაწილი, სამივე რეგიონში, პირადი კონტაქტებსა და რეკომენდაციების საფუძველზე ახდენენ კადრების მოძიებას. აღნიშნული პრაქტიკა მეტად გამოიყენება გურიის რეგიონში და მას იყენებს გამოკითხულ რესპოდენტთა 86.5%, ხოლო აჭარაში აღნიშნული მაჩვენებელი 64%-ს შეადგენს. სამეგრელოს რეგიონიდან გამოკითხულთა 54.5% იყენებს პირად კონტაქტებს კადრების მოძიებისას.

ვაკანსიის განცხადებით ინტერნეტში ინფორმაციის გავრცელებას აჭარაში გამოკითხულთა 28.2%, ხოლო სამეგრელოში 34.1%-ს ახელს, გურიაში კი აღნიშნულ მეთოდს 16.2% იყენებს, რაც გვამღევეს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ გურიის რეგიონში, სხვა რეგიონებთან შედარებით, ინტერნეტით კომუნიკაციის მექანიზმები ნაკლებად არის გავრცელებული, შესაბამისად, ფართოდ გამოიყენება პირადი კონტაქტებისა და რეკომენდაციების საფუძველზე კადრების მოძიების მექანიზმები.

კომპანიების ნაწილი კადრების მოძიების პროცესში დასაქმების სააგენტოებსაც მიმართავს. გურიაში გამოკითხული რესპოდენტების 13.5%-მა განაცხადა, რომ კადრების ძიებისას მიმართავს დასაქმების სააგენტოს, ხოლო სამეგრელოში აღნიშნულ რესურსს გამოკითხულთა მხოლოდ 4.5% მიმართავს. ასევე საინტერესოა, რომ დასაქმების სააგენტოების დახმარებას

აჭარაში ყველაზე დიდი მაჩვენებელია და ის გამოკითხულთა 33% მიერ დასახელდა, რაც მიაწინებს დასაქმების სააგენტოების ბიზნესის განვითარების შედარებით მაღალ დონეზე, რეგიონში. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხული ორგანიზაციების მცირე ნაწილი თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საჭირო უნარების მქონე კადრების მოძიების მიზნით. რეგიონების მიხედვით გამოკითხულ რესპონდენტებს შორის იმ ორგანიზაციათა წილი, რომლებიც თანამშრომლობენ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კადრების აყვანის პროცესში შემდეგნაირად არის გადანაწილებული: აჭარაში 23%, გურიაში 2.7%, ხოლო სამეგრელოში 11.4%.

კადრების მოძიების გზებთან დაკავშირებით დასმული კითხვის შედეგ, რესპონდენტებს ჩამოუთვალეს შესაძლო პასუხები კადრების მოძიების გზებთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ აჭარაში დამსაქმებლებს 43%-ს კადრები საკუთარი სურვილით მიმართავენ, გურიაში ასეთი კომპანიების წილი 40.7%-ს შეადგენს, ხოლო სამეგრელოში გამოკითხულ კომპანიების 55%-ს კადრები მიმართავენ საკუთარი სურვილით.

გამოკითხულთა 48% კადრების მოძიების პროცესში პრობლემას აწყდება ახალი კადრის ძიების პროცესში. ამასთანავე, რამდენადაც კადრის მოძიებისას ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდად- პირადი კონტაქტები და რეკომენდაცია დასახელდა, საფუძველს გვამლევს დავასკვნათ, რომ სამივე რეგიონში კადრების მოძიების საკითხის ბიზნესის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ ყველაზე ხშირად ბიზნეს სუბიექტები, სანაცნობო წრეში ახდენენ კადრების მოძიებას და იშვიათად ახდენენ ვაკანტური პოზიციის შესახებ განცხადების განთავსებას, ეს ზღუდავს სამუშაოს მაძიებლების დასაქმების შესაძლებლობებს.


გამოკითხვის შედეგად, გამოვლინდა რომ კადრების დეფიციტი არსებობს სოფლის მეურნეობის დარგში. გურიაში სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების 45.8% ახალი კადრების მოძიების პრობლემა აქვს, სამეგრელოში კი რესპონდენტთა 34.3%-ს, ხოლო აჭარაში 25%.

ამასთანავე, აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის გარდა, კადრების დეფიციტის პრობლემა დაასახელა სასტუმროებისა და რესტორნების სფეროდან გამოკითხული ბიზნეს სუბიექტების 32%-მა, რაც მიუთითებს იმას, რომ დარგში ყოველ მესამე ბიზნესს უჭირს საჭირო კადრის მოძიება. შესაბამისად, აღნიშნულ დარგში, განვითარების მიუხედავად, შრომითი რესურსის მხრიდან, დასაქმების სურვილი შედარებით დაბალია. მიზეზი, სავარაუდოდ, შრომითი რესურსის ანაზღაურების მოლოდინისა და შემოთავაზებულს შორის არსებული დისბალანსია.

გურიაში გამოკითხული სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურების სფეროში გამოკითხული რესპონდენტებიდან 8.3%-ს აქვს პრობლემა კადრის მოძიებისას, ხოლო სამეგრელოში 25.7%. აჭარის მონაცემებთან არსებული სხვაობა განპირობებულია არა კადრების სიმრავლით, არამედ გურიაში ტურიზმის განვითარების შედარებით დაბალი დონით, რაც განპირობებს ამ სფეროში ბიზნესის აქტივობის დაბალ დონესა და კადრებზე შედარებით ნაკლებ მოთხოვნას.

აჭარაში დამამუშავებელი მრეწველობის დარგში მოქმედი ბიზნესების მხოლოდ 10.7% აწყდება სირთულეებს ახალი კადრის მოძიებისას, მაშინ როდესაც გურიაში აღნიშნული მაჩვენებელი 29.2%-ს შეადგენს, ხოლო სამეგრელოში 14.3%. თუ გავითვალისწინებთ, რომ აჭარასა და გურიაში თანაბარი რაოდენობით გამოიკითხა დამამუშავებელი მრეწველობის კომპანიები, ხოლო ზემოთ მითითებული მაჩვენებლებში საკმაოდ დიდი სხვაობაა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამამუშავებელი მრეწველობა, მეტად განვითარებულია აჭარის რეგიონში და ამ დარგში შრომითი რესურსის დასაქმების სურვილი მეტად გამოხატულია. რაც თავის მხრივ განპირობებულია დარგში არსებული ანაზღაურების ოდენობით.

გრაფიკი 7. სექტორები რომლებშიც ყველაზე ხშირად იქნა დასახელებული კადრების მოძიების პრობლემა რეგიონულ ქრისში



წყარო: PMO

კადრების მოძიებისას ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემებია კადრების კვალიფიკაცია, სამუშაოების სეზონურობა, და კადრების რაიონიდან გადინება საზღავრგარეთ ან დიდ ქალაქებში. გარდა ამისა, გამოკითხულთა შორის რესპოდენტების 17% -მა აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს არ სურთ მუშაობა და მათი დაინტერესება ვერ ხერხდება შესაბამისი ანაზღაურებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტებს შორის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობს, ხოლო პრობლემებს შორის ძირითადად კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობაა დასახელებული, ცხადი გახდება, რომ სოფლის მეურნეობის დარგში კვალიფიციური კადრების დეფიციტია. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დარგში მოქმედი ბიზნესები ვერ სთავაზობენ მაღალ ანაზღაურებას, ასევე სამუშაო სეზონურია, რაც ამცირებს ინტერესს დარგთან დაკავშირებული პროფესიების მიმართ.

კადრების შერჩევისას დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი უნარებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კომუნიკაციის უნარები. თუმცა, კიდევ ერთ ძირითად მოთხოვნად დასახელბულია სამუშაო გამოცდილება. აჭარაში სამუშაო გამოცდილებას გამოკითხულთა 27% ასახელებს, გურიაში 43.5%, ხოლო სამეგრელოში აღნიშნული მაჩვენებელი 22% შეადგენს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შორის უცხო ენის ცოდნის მოთხოვნა ძირითადად სასტუმროსა და საკვების მიწოდების საქმიანობის სექტორშია გავრცელებული, ისევე როგორც კომუნიკაციის უნარი. კომუნიკაციის უნარი შედარებით ნაკლებად არის მოთხოვნილი დამამუშავებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი დამსაქმებლების მხრიდან, აღნიშნული სექტორებიდან კომუნიკაციის უნარებზე მოთხოვნა დასახელდა დამამუშავებელ მრეწველობაში მოქმედი ბიზნესების 19%-ის, ხოლოს სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების 12%-ის მიერ. მაშინ როდესაც, სასტუმროებისა და საკვების მიწოდების საქმიანობის სფეროში ჩართული ბიზნესების 37%-ის მხრიდან კომუნიკაციის უნარი დასახელდა კადრების აყვანის პროცესში ერთ-ერთ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნად. აღნიშნულ სექტორში კომუნიკაციის უნარისა და უცხო ენის ცოდნის მოთხოვნის შედარებით მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია სექტორის სპეციფიკით, ვინაიდან ის ვიზიტორებსა და ტურისტებისათვის მომსახურების გაწევას გულისხმობს, რაც თავის მხრივ მოითხოვს კომუნიკაციის უნარსა და უცხო ენის ცოდნას.


სამუშაო გამოცდილებაზე მოთხოვნის მხრივ კი სექტორულ ჭრილში ყველაზე დიდი მაჩვენებელი სოფლის მეურნეობის დარგშია და ის 28%-ს შეადგენს, რაც დარგის სპეციფიკით არის განპირობებული. სოფლის მეურნეობა საჭიროებს კონკრეტულ დარგობრივ ცოდნას, შესაბამისად, რესპოდენტების აზრით, სამუშაო გამოცდილების მქონე პირი უფრო ეფექტურად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნის მოთხოვნას, მაღალი მაჩვენებლები დამამუშავებელ მრეწველობასა და ინფორმაცია და კომუნიკაციის დარგში არის წარმოდგენილი და შეადგენს 19.44%, ხოლო ინფორმაცია და კომუნიკაციების სექტორში 25%¹⁴, რაც მიუთითებს დარგში არსებულ ტექნოლოგიურ განვითარებაზე სხვა დარგებთან შედარებით.

რაც შეეხება უმაღლეს განათლების მოთხოვნას, საკვლევ დარგებში, მასზე მოთხოვნა ძალიან დაბალია, რაც ზრდის პროფესიული განათლების მქონე პირების დასაქმების პერსპექტივებს, განსაკუთრებით სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში.

¹⁴ შესაბამისი გრაფიკები მოცემულია დანართებში


გრფიკი 8. საკვალიფიკაციო მოთხოვნები სექტორულ ჭრილში



წყარო: PMO

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დამამუშავებელ მრეწველობაში დეფიციტურია მარტივი ფიზიკური სამუშაოს შემსრულებელი კადრები და აღნიშნულ მაჩვენებელს, სექტორში 72%-იანი წილი უკავია. სოფლის მეურნეობის დარგში 45%-იანი წილი მარტივი ფიზიკური სამუშაოსა და რთული გონებრივი სამუშაოს შემსრულებლის დეფიციტის უჭირავს. ანალოგიური მაჩვენებლები აქვს განთავსების საშუალებების უზრუნველყოფის დარგს, სადაც რთული გონებრივი სამუშაოს შემსრულებლების მაჩვენებელს 44.4% წილი უკავია. აღნიშნული მონაცემები მიუთითებენ, რომ დამამუშავებელ მრეწველობაში მაღალია მოთხოვნა არაკვალიფიციურ კადრებზე. ხოლო სოფლის მეურნეობისა და სასტუმროებისა და კვების მიწოდების საქმიანობის სექტორში მოთხოვნა თანაბარია როგორც სპეციალისტებზე, ასევე დაბალი კვალიფიკაციის კადრებზე.

გრფიკი 9. რომელი ტიპის კადრის დეფიციტი არსებობს გამოკითხულ სუბიექტებში სექტორების მიხედვით



წყარო: PMO

აღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად, ვლინდება, რომ საკვლევ დარგებში, მეტწილად ფიზიკური სამუშაოს შემსრულებლების დეფიციტია, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ დასახელებულ პრობლემებს შორის სეზონურობისა და არასაკმარისი ანაზღაურების პრობლემები იყო დასახელებული, ნათელი გახდება, რომ ასეთი ტიპის სამუშაოს შესრულების მსურველები ბაზარზე არ არიან, რადგან სამუშაო ან სეზონურია ან არ არის საკმარისად ანაზღაურებადი.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ გამოკითხულ რესპოდენტების 43% აუცილებლად მიიჩნევს პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობას, თუმცა თანამშრომლობის საჭიროება სასწავლო-საწარმოო პროგრამების შემუშავებაში, მხოლოდ 26% აქვს დასახელებული. ამასთანავე საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 35% დან 38% მდე აუცილებლად მიიჩნევენ საწარმოო პრაქტიკაზე და სტაჟირებაზე მიიღოს პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და კურსდამთავრებულები. აღნიშნული შედეგები, გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ დღესდღეობით არსებობს საკმარისი საფუძველი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პოპულარიზაციისა და ბიზნეს სექტორსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. ასევე, საყურადღებოა, რომ თანამშრომლობის საჭიროება, მეტად გამოხატულია მცირე და საშუალო ზომის რესპოდენტებში, და თუ გავითვალისწინებთ, კადრების მოძიების მეთოდს, რომელიც ზევით არის მოცემული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის საჭირო კადრების მოძიება მეტად რთულია და თანამშრომლობის საჭიროება უფრო აქტუალურია მათთვის, ვიდრე მსხვილი კომპანიების შემთხვევაში, რომელთაც კადრების აყვანის შედარებით გამართული პროცესი და მექანიზმი გააჩნიათ.

საყურადღებოა, რომ რესპოდენტების მიერ დასახელებული ვაკანსიების რაოდენობის მიხედვით დამამუშავებელი მრეწველობის დარგი გამოირჩევა მაღალი მაჩვენებლით, სადაც ვაკანტური ადგილების ჯამური რაოდენობა 884 ადგილს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ვაკანტური ადგილები ძირითადად მოიცავს მკერავს, მძღოლს და სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგს (სპირტის, ლუდის, ჩირის), ასევე მცხობელს, დანადგარებთან მომუშავე პერსონალს და ასევე ფინანსისტებსა და ბუღალტერს.

სოფლის მეურნეობის დარგში გამოკითხულ ბიზნესებში არსებული ვაკანტური ადგილები, სამივე რეგიონში 154 ადგილს მოიცავს, საიდანაც 21 აგრონომის, 9 მეფუტკრის, 25 იხტიოლოგის, 20 მექანიკოსის, 18 დანადგარებთან მომუშავე ოპერატორის, ხოლო 7 მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტის ვაკანსიაა. დანარჩენი 54 ვაკანსია მოიცავს, როგორც ბუღალტერს, ასევე მძღოლს, მკრეფავს, მეღვინეს, დამხმარეს და შემდუღებელს.

სასტუმროებისა და კვების მიწოდების საქმიანობით დაკავებულ ბიზნეს სუბიექტებში არსებული ვაკანტური ადგილები 115-ს შეადგენს, საიდანაც 22 სასტუმროს ადმინისტრატორი, 10 დამლაგებელი, 55 მიმტანი, 13 მზარეულის ვაკანსიაა. ხოლო დანარჩენი 15 ვაკანტური ადგილი მოიცავს ბელბოის, ბარმენს, მრეცხავს, მებაღესა და მუსიკოსებს.

კვლევის მიგნებები

წარმოდგენილ თავში მოცემული კვლევის ძირითადი მიგნებები, რომელიც დაჯგუფებულია თემატიკის მიხედვით. ქვემოთ მოცემული მიგნებები მომზადებულია საველე კვლევის ფარგლებში შერჩეული სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით. ასევე, განცალკევებით არის გამოყოფილი კონკრეტული სამიზნე ჯგუფის, დარგის თუ რეგიონისათვის გამოვლენილი სპეციფიური მიგნება.

მიგნებები შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართულებით

მიგნება 1: კადრების მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე საჭირო კადრების შერჩევისა და ძიების მეთოდები განსხვავდება კომპანიების სიდიდის მიხედვით. კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამსაქმებლის მხრიდან საკვალიფიკაციო მოთხოვნების კომპლექსურობაზე. მსხვილი კომპანიები, რომლებსაც აქვთ ფინანსური შესაძლებლობა უზრუნველყონ კვალიფიციური კადრის აყვანა პერსონალის შერჩევის პროცესში უფრო მაღალი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ, მაშინ როდესაც მცირე ორგანიზაციების მოთხოვნები კადრების მიმართ შედარებით დაბალია, რადგანაც ასეთ კომპანიებს არ გააჩნიათ ფინანსური რესურსი უზრუნველყონ ძვირადღირებული და მაღალკვალიფიციური პერსონალის აყვანა.

- მსხვილ კომპანიებში საკვალიფიკაციო მოთხოვნები კომპლექსურია და მოიცავს როგორც პიროვნულს, ასევე ტექნიკური უნარებს. მცირე კომპანიების მიდგომა შედარებით რბილია და ისინი შერჩევისას ყურადღებას აქცევენ პიროვნულ უნარებს, მონდომებას და მოტივაციას. ეს გამომდინარეობს მცირე კომპანიების ფინანსური შესაძლებლობიდან. დიდი კომპანიებს აქვთ საშუალება გადაიხადონ უფრო მეტი მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დასაქირავებლად, ხოლო მცირე ბიზნესების პოლიტიკა მიმართულია შრომითი დანახარჯების მინიმიზაციისკენ, შესაბამისად ისინი არ აწესებენ მაღალ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქირაობენ ნაკლებად კვალიფიციურ კადრს, რომელსაც დამატებით სარგებლად სთავაზობენ ადგილზე პროფესიულ განვითარებას.
- საჭირო კადრების ძიების მექანიზმი დიდი კომპანიების შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრული დაგეგმილი პროცესის ფარგლებში მიმდინარეობს და მოიცავს, როგორც რეკრუიტინგის კომპანიების დაქირავებას, ასევე ინტერნეტში ინფორმაციის გავრცელებას, შერჩევისათვის ტესტირებისა და გასაუბრებების ჩატარებას, ხოლო მცირე კომპანიები ძიებას ახორციელებენ პირადი კონტაქტების მეშვეობით და გასაუბრებების შედეგად ქირაობენ თანამშრომლებს.

მიგნება 2: კვლევის ფარგლებში შერჩეულ დარგების წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები საჭირო კადრების მოძიების პროცესში ყველაზე ხშირად პირადი კონტაქტებსა და მათგან მიღებულ რეკომენდაციებს ეყრდნობიან.

აღნიშნული პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული სოფლის მეურნეობისა და მასთან ასოცირებულ დარგებში, რადგან აღნიშნული დარგი ძირითადად წარმოდგენილია მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტებით, რომელთაც არ გააჩნიათ მაღალი ანაზღაურების შეთავაზების შესაძლებლობა და ასევე, წინასწარ განსაზღვრული პროცესი კადრების რეკრუტირებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ბიზნესებს ურჩევნიათ სანაცნობო წრის დახმარებით მოიძიონ საჭირო კადრი. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნულ სექტორში მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისათვის, უმაღლესი განათლება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, სავსებით შესაძლებელია, რომ აღნიშნულ დარგში პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმება მოხდეს. თუმცა, არსებული თანამშრომლობის დონის პირობებში, ვერ ხორციელდება სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებელების დაკავშირება.

მიგნება 3: სამუშაოს მაძიებლები, ძირითადად იმ დარგებით ინტერესდებიან, რომელიც ბიზნეს სუბიექტების სიმრავლითა და შესაბამისად, დასაქმების მაღალი შესაძლებლობებით ხასიათდება. შესაბამისად, ისინი ცდილობენ მათი უნარები მოარგონ მათთვის საინტერესო დარგის მოთხოვნებსა და პრიორიტეტებს.

- კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შრომითი რესურსისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ამა თუ იმ დარგში მოქმედი ბიზნესების სიმრავლე რაც, პირდაპირ დაკავშირებულია დასაქმების პერსპექტივის აღქმასთან. შესაბამისად, მეტად გამოხატულია ინტერესი ისეთი დარგების მიმართ, როგორც არის ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებები, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ვაჭრობა, მშენებლობა. აღნიშნულ ტენდენცია, არამხოლოდ შერჩეულ რეგიონებში, არამედ მთელი ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი.

მიგნება 4: ბიზნესების მაღალი კონცენტრაცია რეგიონების ადმინისტრაციულ ცენტრებსა და დედაქალაქში, ხელს უწყობს შრომითი რესურსის მიგრაციას. ეს კი, თავის მხრივ რაიონებში მოქმედ ბიზნესებს ურთულებს საჭირო კადრების მოძიებას.

- გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადად ბიზნეს სუბიექტები ადმინისტრაციულ ცენტრებსა და მაღალი ურბანიზაციის დონის დასახლებებშია თავმოყრილი, სამუშაოს მაძიებლები ცდილობენ აღნიშნულ დასახლებებში გადასვლას, რაც ხელს უწყობს შრომითი რესურსის მიგრაციას და სამუშაო ძალის გადინებას.

მიგნება 5: სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების უმეტესობას არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი კვალიფიციური კადრის მოსაზიდად, რაც ამცირებს სამუშაო ძალის დაინტერესებას სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიების მიმართ.

- დადგინდა, რომ სოფლის მეურნეობის დარგში კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროების მიუხედავად, ისეთი როგორც არის აგრონომი, ვეტერინარი, მევენახეობის

სპეციალისტი, ვერ ხორციელდება კადრების დაქირავება, და ხშირად ხდება, რომ დამფუძნებლები, დირექტორები ან სხვა პოზიციებზე მომუშავე პირები, ითავსებენ სხვადასხვა ფუნქციებს. შესაბამისად, ეს ამცირებს ვაკანტურ ადგილებს დარგში. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ძირითადად ქირაობენ დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრებს, რომელთა შრომა დაკავშირებულია ფიზიკურ დატვირთვასთან.

მიგნება 6: გამოვლენილი დარგობრივი საჭიროებები მრავალფეროვანია, თუმცა დეფიციტურია ტექნიკური და დარგობრივი კვალიფიკაციები, რომელიც საჭიროა, დაბალი და იშვიათ შემთხვევაში, საშუალო რგოლის პოზიციებისათვის. აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებული პერსონალის მიმართ ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნა არის დარგობრივი, ვიწრო სპეციალიზაციის ცოდნის ქონა, რაც ხშირ შემთხვევაში დეფიციტურია და ართულებს საჭირო უნარების მქონე კადრის მოძებნას.

- გამოკითხული ბიზნეს სუბიექტების უმეტესობას კადრების საჭიროება გააჩნია დაბალი რგოლის პოზიციებისათვის. ოდნავ განსხვავებული სიტუაცია ისეთ კომპანიებში, რომელთა საოპერაციო პროცესები რთულდება (შედარებით დიდ კომპანიებში), სადაც ასევე არის საშუალო რგოლის პოზიციებზე კადრების საჭიროება. დამსაქმებლებს ძირითადად მოთხოვნა აქვთ კონკრეტული დარგობრივი უნარების (ანუ ვიწრო სპეციალიზაციის) მქონე შრომით რესურსზე. სპეციალობების შეჯამება დარგობრივ ჭრილში მოცემულია ცხრილ # 1- ში.

ცხრილი 1. სპეციალობებზე მოთხოვნა სექტორების მიხედვით

| დარგი | დამამუშავებელ იმრეწველობა | სოფლის მეურნეობა | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა ადა საკვების მიწოდების საქმიანობები | ინფორმაცია და კომუნიკაცია | ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე მომსახურებების საქმიანობები |
|-----------------------|-----------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------|
| გამოვლენილი საჭიროება | კვების ტექნოლოგი, მკერავი, დურგალი, დანადგარების ოპერატორები, ელექტრიკოსები | აგრონომი შემდეგი მიმართულებით: კენკროვანი კულტურები (მარწყვი ლურჯი მოცვი), მეყვავილეობა, მევენახეობა, სასათბურე კულტურები, მეთხილეობა ცხოველთა | დამლაგებელი, მიმტანი, ადმინისტრატორი, ბარმენი, | ვებ დიზაინერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი (IT), ქსელის | ტურ ოპერატორები, გიდები |

| | | | | | |
|--------------------------------------------------------|----------------------------|-------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------|----------------------------|--------------------------------------------------|
| არსებული მოთხოვნები პოზიციის დონე | დარგობრივი ტექნიკური ცოდნა | სპეციფიური ტექნიკური ცოდნა, სამუშაო გამოცდილება | პროფესიული უნარები, უცხო ენა, კომუნიკაციის უნარი, რეპრეზენტატიულობა | სპეციფიური ტექნიკური ცოდნა | უცხო ენები, კომუნიკაციის უნარი, გაყიდვების უნარი |
| | საშუალო, დაბალი | საშუალო | დაბალი და საშუალო | დაბალი, საშუალო | საშუალო |

მოშენება),
 ვეტერინარი
 მეფრინველეობაში
 ი,
 მეცხოველეობაში,
 იხტიოლოგი,
 თევზმოშენების
 სპეციალისტი,
 ლაბორატორიის
 სპეციალისტები,
 როგორც
 ნიადაგის, ასევე
 თევზის,
 მეფუტკრეობის,
 და სხვა
 ქვედარგებში,
 ნიადაგმცოდნე,
 მიკრობიოლოგი,
 ჩაის და თხილის
 მკრეფავი და
 გადამრჩევი, ჩაის
 ტექნოლოგი,
 მეღვინე,
 სომელიე

მიგნება 7: ბიზნეს სუბიექტების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ განსხვავდება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის კვალიფიკაციის მქონე კადრები ესაჭიროებათ. დიდ კომპანიებში საჭიროებები შრომითი რესურსის მიმართ რაოდენობრივი და პოზიციური თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანია, ხოლო მცირე ზომის კომპანიებს ძირითადად დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა ესაჭიროება. შესაბამისად, დიდი კომპანიების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ, უფრო დადებითია ან ნეიტრალურია, ხოლო მცირე ზომის კომპანიების დამოკიდებულება უფრო სკეპტიკურია, რადგან მცირე ბიზნესს შედარებით ნაკლებად აქვს მოთხოვნა დარგობრივი სპეციალობის მქონე კადრების მიმართ.

- შესწავლილ ბიზნესებს შორის, გამოვლინდა, რომ მათი დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ განსხვავებულია. აღმოჩნდა, რომ იმ კომპანიების დამოკიდებულება, რომელსაც საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა გააჩნია კვალიფიციური კადრის მოზიდვისთვის და რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები კომპლექსურია, ასევე რაოდენობრივი საჭიროება კადრებში უფრო მაღალია, დადებითი დამოკიდებულება აქვთ პროფესიული განათლების მიმართ. ხოლო, მცირე ზომის კომპანიების დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად სკეპტიკურია.
- თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხულ ბიზნესებს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და მიმართულებაზე ძალიან მწირია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამოკიდებულებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის ინფორმაციის ნაკლებობა, გადამწყვეტია. შესაბამისად, თანამშრომლობის პერსპექტივები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ამ თანამშრომლობის ბიზნესისათვის სარგებლის აღქმაც სკეპტიკურია.

მიგნება 8: მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ სექტორებში მოქმედი ბიზნეს სუბიექტები აწყდებიან პრობლემას საჭირო უნარების მქონე კადრების მოზიდვის კუთხით, მათი უმეტესობა ძირითადად წარმოადგენს მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციებს, რომლებიც ცალცალკე არ ქმნიან სათანადო რაოდენობის სამუშაო ადგილებს, რომ მოახდინონ პროფესიული კოლეჯის დაინტერესება კონკრეტული მიმართულების პროგრამის შემუშავების კუთხით.

- კვლევის თანახმად, სექტორები ძირითადად წარმოდგენილია მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტებით, ხოლო თითოეული მათგანის მოთხოვნა კონკრეტული ვიწრო სპეციალიზაციის მქონე კადრებზე საკმაოდ დაბალია. საშუალოდ, ერთი ბიზნეს სუბიექტი შესაბამისი დარგობრივი სპეციალობის მიხედვით 2-3 სამუშაო ადგილს ქმნის, გაცილებით მცირეა ვიწრო სპეციალიზაციის კადრებზე მოთხოვნა სოფლის მეურნეობის დარგში, სადაც მოქმედ ბიზნეს სუბიექტებს შეუძლიათ მხოლოდ 1 კადრის დასაქმება. შესაბამისად, მართალია სექტორულ ჭრილში შეიმჩნევა პროფესიული კადრების დეფიციტი, ბიზნეს სუბიექტების სიმცირე და მათ მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა არ არის საკმარისი პროფესიული კოლეჯების დასაინტერესებლად უზრუნველყონ შესაბამისი დარგობრივი მიმართულების პროგრამების შექმნა. საგანმანათლებლო სექტორს, მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებს შორის, კომუნიკაციის დამყარებისა და თანამშრომლობის გაძლიერებისათვის, ასევე ბიზნეს სექტორის საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის და აღნიშნულის შედეგად საგანმანათლებლო სექტორთან თანამშრომლობის დამყარებისათვის, საჭიროა შუალედური რგოლის ჩამოყალიბება, რომელიც წახალისებს სექტორულ თანამშრომლობას და გააძლიერებს, ყველა ჩართულ მხარეს. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, დარგობრივი ასოციაციის შექმნას, ან სხვა ტიპის ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომლის ძირითადი მიზანი იქნება, დარგობრივ ჭრილში საჭიროებების იდენტიფიცირება, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და ბიზნეს სექტორისათვის აღნიშნული პროგრამების

შეთავაზება. ერთი ორგანიზაციის ქვეშ ინფორმაციის გაერთიანებისა და დამუშავების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება კონკრეტული დარგობრივი საჭიროებების, ასევე ამ საჭიროებების მასშტაბის განსაზღვა და შემდეგ ამის საფუძველზე საგანამანათლებლო სექტორთან თანამშრომლობის დამყარება.

- გარდა ამისა, პრობლემას საჭირო უნარების მქონე კადრების მოზიდვისას, სამივე რეგიონში აწყდებიან. აღნიშნული პრობლემა განპირობებულია იმით, რომ ერთის მხრივ ბიზნესს არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი კვალიფიციური კადრის მოსაზიდად, ხოლო შეთავაზებულ ანაზღაურებაზე მოზიდული პერსონალი არ ფლობს საჭირო უნარებსა და ცოდნას. ხოლო მეორეს მხრივ, მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრისთვის დამქირავებლის მიერ შეთავაზებული ანაზღაურება არ არის საინტერესო. გამოდის, რომ შედარებით კვალიფიციური კადრის სახელფასო მოლოდინებისა და დამსაქმებლის შესაძლებლობების შორის არსებობს დისბალანსი, რომელსაც შედარებით მცირე კომპანიები ვერ უმკლავდებიან. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს სუბიექტები, პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობის მზაობა, უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილი კომპანიების, და ამ ორი სექტორის თანამშრომლობას საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს, სწორად შემუშავებული საკომუნიკაციო სტრატეგიის და/ან შუალედური დამაკავშირებელი რგოლის პირობებში.

მიგნებები საჭირო უნარ ჩვევების შესახებ

მიგნება 1: პოტენციური დამსაქმებლები, ამხვილებენ ყურადღებას ისეთ პიროვნულ უნარებზე, როგორც არის პასუხისმგებლობის გრძნობა და მოტივაცია, განსაკუთრებულად გამოხატულია ეს მოთხოვნები დაბალი რგოლის პოზიციებისათვის.

- მაშინ როდესაც, კანდიდატისგან არ მოითხოვება მაღალი კვალიფიკაცია, მოტივაცია და პასუხისმგებლობის გრძნობა ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმად არის დასახელებული. გამომდინარე იქედან, რომ დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია დაასაქმოს კადრი ხანგრძლივი პერიოდით, რათა ადგილი არ ჰქონდეს დენადობას, მოტივაცია და საქმისადმი ინტერესი არის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება. შესაბამისად, დამსაქმებლები ცდილობენ, შეარჩიონ ასეთი უნარების მქონე ადამიანები.

მიგნება 2: კომუნიკაციის უნარი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და სამუშაო გამოცდილება არის ის ძირითადი მოთხოვნები, რომელიც პოტენციურ დამსაქმებლებს გააჩნიათ, ახალი კადრის დაქირავებისას.

- შერჩეულ რეგიონებსა და დარგებში, უმაღლესი განათლება და რეკომენდაცია, არის ის მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაც სამსახურის მაძიებელს ძირითადად არ მოეთხოვება, მაგრამ არსებობს დარგობრივი განსხვავება, მაგალითად სოფლის

მეურნეობაში უმაღლესი განათლების მოთხოვნა ფაქტიურად არ არსებობს, მაშინ როდესაც დამამუშავებელი მრეწველობის დარგში ის საკმაოდ აქტუალურია, ისევე როგორც ინფორმაცია და კომუნიკაციის დარგშიც.

მიგნება 3: სოფლის მეურნეობის დარგში, მოქმედი მცირე ზომის კომპანიებში, კოოპერატივებში და ფერმერულ მეურნეობებში დარგის შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა შეიმჩნევა.

- გამოვლინდა, რომ მცირე ზომის სასოფლო სამეურნეო საწარმოებში, კოოპერატივებში და ფერმერულ მეურნეობებში მოღვაწე პირებს, თავად აქვთ ცოდნის ნაკლებობა და ისინი სამუშაოს ეწევიან შესაბამისი კვალიფიკაციის გარეშე. ეს ცოდნა დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორც არის ნიადაგის მოვლა, გამოყენებული სასუქები, შეწამვლის მეთოდები და ტექნიკა. ასეთი ტიპის საწარმოებში საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების დაქირავებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობის გამო, მათ ხშირად პირადი კონტაქტების მეშვეობით უხდებათ ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა ტექნოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. არასაკმარისი კვალიფიკაცია პირდაპირ აისახება საწარმოს პროდუქტიულობაზე, ნაწარმის ხარისხზე და შესაბამისად მომგებიანობაზე. განსაკუთრებით ეს გამოვლინდა, ისეთ ფერმერულ მეურნეობებში, (მარწყვის, ლურჯი მოცვის, თხილისა და საკალამახე მეურნეობებში), რომლებმაც მიიღეს ან სახელმწიფო ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტები ან სხვა სახის ფინანსური დახმარება. საყურადღებოა, რომ ასეთი ტიპის ბიზნესების მდგრადობა, არასაკმარისი ცოდნისა და კვალიფიკაციის გამო, არის დაბალი, რაც კვლების ფარგლებში გამოვლინდა და დადასტურდა.

მიგნება 4: სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედ მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა და უნარები ბიზნესის დაგეგმვისა და მართვის თვალსაზრისით, რაც ამცირებს მათ შესაძლებლობებს მოიძიონ საქმიანობის გასაფართოებლად საჭირო ფონდები და უზრუნველყონ საკუთარი ბიზნესის მდგრადობა.

- მიუხედავად იმისა, რომ არსებული სახელმწიფო და დონორული პროგრამების ფარგლებში არსებობს სხვადასხვა საგრანტო მექანიზმი სოფლის მეურნეობის დარგის მხარდასაჭერად, მცირე ზომის ფერმერული მეურნეობები აწყდებიან სხვადასხვა ბარიერებს აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენებისა და ბიზნესის გასაფართოებლად საჭირო ფონდების მოძიების კუთხით. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედ მცირე ზომის მეურნეობების წარმომადგენლებს არ აქვთ საკმარისი სამეწარმეო და ბიზნესის მართვის უნარები, რათა შეავსონ საგრანტო პროგრამების ფარგლებში განსაზღვრული აპლიკაციები და დაასაბუთონ საკუთარი ბიზნესის მდგრადობა. ხშირია, ფაქტები, რომ

საგრანტო პროგრამების მონაწილეები ვერ ადასტურებენ პროექტების მდგრადობას, რაც მეტყველებს ამ დარგში, მოქმედი პირების მეწარმეობის უნარების ნაკლებობაზე.

მიგნება 5: სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი შედარებით დიდი ზომის კომპანიებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ექსპორტზე გასატან პროდუქციას, ხოლო საწარმოო პროცესები აგებულია თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, სხვა უნარების გარდა, მნიშვნელოვანია ანალიტიკური უნარი, დაგეგმვისა და პროგნოზირების უნარი, აღწერების წარმოებისა, ახალი ინფორმაციის აღქმის უნარი, და უცხო ენების ფლობა.

- ვინაიდან, ესეთი ტიპის საწარმოები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ახორციელებენ პროდუქციის წარმოებას და მუდმივად თვალს ადევნებენ ახალ მოთხოვნებს, მათთვის სხვა კვალიფიკაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია ასეთი უნარების მქონე კადრების დაქირავება, რათა საწარმოო პროცესში მუდმივად იყოს დაცული სტანდარტები და ასევე შენარჩუნებული იყოს ხარისხი.

მიგნება 6: საოფისე კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის უნარები აღარ წარმოდგენს დეფიციტურ ცოდნას და ის ბაზარზე ჭარბად არის წარმოდგენილი. თუ წარსულში, ის კადრის შერჩევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენდა, ამჟამად ეს ტენდენცია შეცვლილია.

- ტენდენციის ცვლილება გამოწვეულია, ბაზარზე აღნიშნული უნარის სიჭარბით და არა მისი მნიშვნელობის შემცირებით. ამასთანავე, გაიზარდა ცოდნის დონე კანდიდატებში, და ამიტომ დამსაქმებელი აღნიშნულ უნარს აღარ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას შერჩევისას, არამედ ამხვილებს ყურადღებას საოფისე პროგრამების სიღრმისეულ და მრალამხრივ ცოდნაზე.

მიგნება 7: ტურიზმის დარგში, სერვისებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევებია. გასულ წლებში ტურიზმის მზარდმა ტენდენციამ გაზარდა აღნიშნული სფეროს მიმართ ინტერესი, თუმცა მოქმედი ბიზნესების გამოწვევას წარმოადგენს სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და დაცვა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთა აჭარის რეგიონში, რაც მისი განსაკუთრებული ტურისტული როლით არის განპირობებული.

- კვლევისას გამოვლინდა, რომ აღნიშნული ტენდენცია კონკურენციის გაზრდის ფონზე გახდა აქტუალური. მეტი და მეტი ბიზნესი ხვდება, რომ მათთვის მომსახურების გაწევის ხარისხის გაუმჯობესება, პირდაპირ დაკავშირებულია შემოსავლების ზრდასთან. გაიზარდა მიმართვიანობა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ტურიზმის ადმინისტრაციაში, შესაბამისი კურსებისა და ცოდნის მიღების მიმართულებით.

მიგნებები ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების შესახებ

მიგნება 1: ეკონომიკური სექტორში განხორციელებული მსხვილი ინვესტიცია ხელს უწყობს დარგის განვითარებას, ქმნის სამუშაო ადგილებს, შესაბამისად კი იზრდება საზოგადოების ინტერესი აღნიშნული სექტორისადმი, რადგან ვლინდება დასაქმების პერსპექტივები, შედეგად კი ჩნდება მოთხოვნა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამებზე.

- კვლევის შედეგების თანახმად, გურიისა და აჭარის შეთხვევაში, უცხოური ინვესტიციის განხორციელებას მოჰყვა, დამამუშავებელ მრეწველობის, კერძოდ ტექსტილის წარმოების განვითარება, რამაც გააჩნია მოთხოვნა კონკრეტულ სპეციალობებზე და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე. სამკერვალო ფაბრიკების გახსნის ინტერესი ცალსახად იაფი მუშა ხელის არსებობა და საექსპორტო ქვეყანასთან სიახლოვე (თურქეთი) განაპირობებდა.
- ანალოგიურად, ორივე რეგიონში განხორციელებულ ინვესტიციებს და ტურიზმის დარგის განვითარებას, მოჰყვა საზოგადოებრივი ინტერესის და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნის ზრდა.

მიგნება 2: ტურიზმის სექტორისათვის საჭირო კვალიფიკაციების საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომლობა და მრავალფეროვნება წარმოდგენილია აჭარაში. ვინაიდან, აღნიშნული რეგიონში ტურიზმის განვითარება უფრო ადრეულ პერიოდში დაიწყო და მოთხოვნის ჩამოყალიბების პარალელურად ხდებოდა შესაბამისი პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

- აჭარასთან შედარებით, სადაც ტურიზმის დარგი მეტად განვითარებულია, სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში ტურიზმის სექტორი შედარებით ახალია, და აღნიშნულ რეგიონებში, ნაკლებია შესაბამისის საგანმანათლებლო პროგრამები. ტურისტული პოტენციალის ათვისებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს დარგისათვის საჭირო პროგრამების ხელმისაწვდომობა, რათა სექტორში არ შეიქმნას კვალიფიკაციის დეფიციტი.

მიგნება 3: დამამუშავებელი მრეწველობა, ასევე განთავსების საშუალებების უზრუნველყოფის სექტორი სამივე რეგიონისთვის ზრდის პოტენციალის მქონე დარგებს წარმოადგენს.

- აღნიშნულ დარგებში განხორციელებული ინვესტიციებისა და დასაქმების მაჩვენებლების გაანალიზების შედეგად, დგინდება, რომ ამ დარგებში ბიზნეს სექტორი მეტად აქტიურია და ის განვითარების ზრდით ხასიათდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგი შედგება, ისეთი ქვედარგებისგან, როგორც არის კვების მრეწველობა, ტექსტილის წარმოება, ავეჯის წარმოება და თუ

გავითვალისწინებთ, რომ ამ სექტორში წარმოებულ პროდუქციაზე მომხმარებელთა მოთხოვნა არ მცირდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ქვედარგები ქმნიან დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის პერსპექტივებს. სპეციალობები, რომელზეც მომავალში მოთხოვნის ზრდა არის მოსალოდნელი, არის კვების ტექნოლოგი, სამრეწველო დანადგარის ოპერატორები, ჩაის გადამამუშავების ტექნიკოსი, თევზმომწენების ტექნიკოსი, სურსათის უსაფრთხოების სპეციალისტი, დურგალი და სხვა.

- როგორც გამოვლინდა, სოფლის მეურნეობის დარგში, ბიზნეს სექტორი ნაკლებად აქტიურია და მასში კონცენტრირებულია მცირე ზომის ფერმერული მეურნეობები და კოოპერატივები. შესაბამისად, აღნიშნულ დარგში დასაქმების მაჩვენებლების ზრდა მოსალოდნელია, მხოლოდ ბიზნეს სუბიექტების გამსხვილებისა და ბიზნეს სექტორის განვითარების შემდეგ.

მიგნებები პროფესიული განათლების არსებული მიმართულებებისა და საჭიროებების შესახებ

აღნიშნული ნაწილი მოიცავს პროფესიული განათლების მიმართულებების, ბაზარზე პროფესიული განათლების მიმართულებებით არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევების შეფასებას.

მიგნება 1: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან, პოპულარობით სარგებლობს მოკლევადიანი პროგრამები, ასევე თვითდასაქმების ხელშემწყობი პროგრამები.

- გამოვლინდა, რომ მასაჟისტის, მკერავის, თმის სტილისტის, დურგლისა და ელექტრიკოსის პროფესიული პროგრამები მაღალი პოპულარობით სარგებლობს, რადგან ისინი ხელს უწყობენ თვითდასაქმებას. ასევე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით სარგებლობს მოკლევადიანი პროგრამები, როგორც არის საოფისე საქმე, ელექტროობა, ინფორმაციის ტექნოლოგია და ამ სპეციალობებზე, ელექტროობის გარდა, ხშირად კონკურსიც კი ტარდება.

მიგნება 2: ერთ-ერთი გამოწვევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არის რეგისტრანტთა არასწორი მოლოდინები და ამა თუ იმ პროფესიული პროგრამების აღქმა.

- გამოვლინდა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც რეგისტრანტებს არა აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით და პროფესიისადმი მათი მოლოდინები არ შეესაბამება რეალობას. ისინი არჩევენ, მხოლოდ პროგრამის დასახელების შესაბამისად აკეთებენ და არ ითვალისწინებენ

პროფესიის სპეციფიკას. ამასთანავე, ხშირია რეგისტრანტთა უნარების შეუსაბამობა საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფორიენტაციის მენეჯერებს უწევთ ხანგრძლივი კომუნიკაცია რეგისტრანტთა არსებული უნარ-ჩვევების შესაბამის პროფესიული პროგრამისადმი მაქსიმალური მისადაგებისათვის.

მიგნება 3: ბიზნესის ჩართულობა, პროფესიული განათლების მოთხოვნის ჩამოყალიბებაში დაბალია, და საგანმანათლებლო პროგრამებით სრულად ვერ ხერხდება შრომის ბაზარზე არსებული კვალიფიკაციებისადმი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

- პროფესიული პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის მიზანშეწონილობის გასამყარებლად მნიშვნელოვანია, მაგრამ არა სავალდებულო, გარკვეული დასაბუთების წარდგენა, რომ პროგრამა მორგებულია კერძო სექტორის საჭიროებებს და მომავალში კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების შესაძლებლობები შესაბამისი მიმართულებით. აღნიშნული დასაბუთების მიზნით, პროფესიული კოლეჯები აფორმებენ მემორანდუმებს კერძო სექტორთან. თუმცა, ასეთი ტიპის შეთანხმებები უფრო ნებაყოფლობითი ხასიათისაა და არ უზრუნველყოფს შემდგომ მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბებას ბიზნეს სექტორსა და პროფესიულ კოლეჯებს შორის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გასაძლიერებლად. თანამშრომლობის სისუსტე განპირობებულია, როგორც ბიზნეს სექტორის დაბალი ინტერესით, ასევე პროფესიული კოლეჯების პასიურობით უზრუნველყონ ბიზნეს სექტორის ჩართულობა პროგრამების შემუშავებაში, გაითვალისწინონ ბიზნესის საჭიროებები და შრომის ბაზრის ტენდენციები, და ხელი შეუწყონ კერძო სექტორთან კავშირების გამყარებას სტაჟირების და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით.
- პროფესიული განათლების სექტორის შეფასებით, შემუშავებული პროგრამები არ არის მოქნილი და მისი ბიზნესის მოთხოვნებზე მარტივად ადაპტირება რთულია, რადგან ამ შემთხვევაში აუცილებელია კონსულტაციის გავლა პროგრამის შინაარსობრივი მხარის და სწავლების მეთოდების ცვლილებებასთან დაკავშირებით პარტნიორ ორგანიზაციებთან, ხოლო ცვლილების შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რაც დამატებით დროსა და ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა, რადგანაც პროფესიული კოლეჯების მხრიდან დაფიქსირდა რომ პროგრამის ცვლილების შემთხვევაში მათ სჭირდებათ პროგრამის განხორციელების უფლების ხელახლა მოპოვება. აღნიშნული, გვადლევს საფუძველს დავასკვნათ რომ პროგრამის შინაარსობრივი მხარე მნიშვნელოვნად არის აცდენილი კერძო სექტორის საჭიროებებთან და მათზე მორგება საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს პროგრამაში.
- ბიზნესის ჩართულობის დონეზე მოქმედ ფაქტორებს შორის გამოსაყოფია სექტორთან კომუნიკაციის სტრატეგიის და ინფორმაციის ნაკლებობა. ბიზნესთან თანამშრომლობა დაფუძნებულია პირადი კონტაქტებზე, შესაბამისად, თანამშრომლობა არა სტანდარტიზირებულად ხორციელდება.

მიგნება 4: ბიზნეს სექტორის შეფასებით, სასწავლო პროგრამები ხშირ შემთხვევაში ვერ უზამს მხარს შესაბამისი დარგის განვითარების ტემპებს, რაც პროფესიული განათლების პოპულარიზაციის შემაფერხებელი ფაქტორია. აღნიშნული ფაქტორი განპირობებულია იმით, რომ პროფესიული სასწავლებლები ხშირად ვერ ახერხებენ დროულად შეიძინონ საჭირო მასალები ან განაახლონ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ერთის მხრივ ფინანსური რესურსების ნაკლებობით არის გამოწვეული, ხოლო მეორეს მხრივ შესყიდვების პროცესში არსებული ბიუროკრატიული პროცედურებით, რის გამოც საჭირო მასალებისა და ინვენტარის შეძენა დროში იწელება.

- არსებული ბიუროკრატიული მექანიზმები აფერხებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოქნილობის განვითარებას და შესაბამისად, ფერხდება ხელმისაწვდომობა თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი. ასეთ ბარიერებად, გვევლინება საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსით დროულად უზრუნველყოფის პრობლემა, რაც განსაკუთრებით მწვავედ დგას ხარჯვადი აქტივების შეძენის პროცესში, რომელიც საჭიროებს ყოველწლიური შესყიდვების განხორციელებას. აღნიშნული განპირობებულია, შესყიდვების პროცესის ცენტრალიზებული მიდგომითა და შესყიდვების განხორციელების ხანგრძლივობით. ნებისმიერი პროგრამის ფარგლებში საჭირო მასალების შესყიდვის დაგეგმვა იწყება, სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაახლოებით 3 თვით ადრე, რაც პროფესიული სასწავლებლების მხრიდან შესყიდვების პროცესის სწორ დაგეგმვას მოითხოვს. შესაბამისად, მასალებისა და ინვენტარის მომარაგების კუთხით, საჯარო პროფესიული სასწავლებლები შედარებით ნაკლებად მოქნილები არიან და საჭიროებენ გაძლიერებას შესყიდვების პროცესის დაგეგმვისა და მართვის კუთხით. ამ მხრივ, ბიზნეს სექტორი ბევრად უფრო მოქნილია და შესაბამისად უფრო სწრაფად ახერხებს ახალი თანამედროვე ინვენტარის შეძენას. აღნიშნულის გამო კერძო სექტორს ურჩევნია ადგილზე მოამზადოს კადრები და თავად ასწავლონ მათ საწარმოო პროცესში გამოყენებულ ტექნიკასთან მუშაობა. შესაბამისად, ეს ქმნის საფუძველს რომ ეფექტურად იქნას გამოყენებული სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები და გაიზარდოს ბიზნეს სექტორის ჩართულობა პროფესიული კოლეჯების სტუდენტთა პრაქტიკული სწავლების კუთხით.

მიგნება 5: საკვლევ რეგიონებში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე მომსახურების საქმიანობების ქვეშ გაერთიანებული პროფესიებისა და კვალიფიკაციის არც ერთი პროგრამა არ გამოვლინდა შერჩეულ რეგიონებში. ეს პროფესიებია რეგიონული დონის გიდი, ტურ ოპერატორები.

- მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში, სამეგრელოსა და გურიისთან შედარებით, ტურიზმი მეტად განვითარებულია, აღნიშნული პროგრამების არ არსებობის გამო, გიდეზზე და ტუროპერატორებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება რეგიონის გარედან, რაც

ნიშნავს, იმას რომ ტურისტულ ჯგუფებს თავის გიდი მოჰყვება, ან თბილისიდან ხდება გიდისა დაქირავება. ცხადია, ეს უარყოფითად აისახება დარგის განვითარებაზე და ხელს უშლის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

- მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პროგრამების შემუშავების დროს უცხო ენის გაძლიერებული შესწავლა უნდა მოხდეს, ადგილობრივი კადრის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის.

მიგნება 6: პროფესიული განათლების არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს შორის გამოსაყოფია საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლება და პოპულარიზაციის გაზრდა.

- კულტურული ნორმები და სტერეოტიპების პირობებში, პროფესიული განათლების დაწესებულებები ასოცირდება იმ დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს არაკვალიფიციური კონტინგენტის სწავლებას. შესაბამისად, კურსდამთავრებულები განიხილებიან არასაკმარისი კვალიფიკაციის მქონე კადრებად. სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულება, არამხოლოდ ბიზნესებს აქვთ. პროფესიული განათლებისადმი საზოგადოებრივი ინტერესიც საკმაოდ დაბალია და ის არამხოლოდ რეგიონებში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით ვლინდება. ასევე, საყურადღებოა ისიც, რომ ხშირად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა ხდება, არა ცოდნის არამედ სერტიფიკატის მიღების მიზნით, რაც თავის მხრივ დაწესებულებების რეპუტაციულ რისკებს ზრდის.

მიგნება 7: გურიის რეგიონში დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით, წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა და ვინაიდან მასში ოპერირებენ მცირე ზომის მეურნეობები, რომლებიც ვერ ქმნიან სათანადო რაოდენობის სამუშაო ადგილებს, არამედ ერთეული კადრების დასაქმების შესაძლებლობა აქვთ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, დარგისთვის საჭირო და დეფიციტური პროფესიებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება არ ხორციელდება.

- როგორც აღინიშნა, პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის, საჭიროა ინფორმაცია პროგრამის შესაბამისი მიმართულებით არსებული დასაქმების პერსპექტივების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ინდიკატორს პროფესიულ პროგრამაზე მიმართვიანობის შეფასებისა და ასევე ამ პროგრამის საჭიროების დასაბუთებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი მცირე ზომის მეურნეობები ვერ უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი ოდენობის სამუშაო ადგილების შექმნას, შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებები შედარებით ნაკლებად ინტერესდებიან ამ მიმართულებით და ვერ ახორციელებენ დარგისთვის შესაბამისი კვალიფიკაციების მიმნიჭებელი პროგრამების შემუშავებას. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ იწვევს დარგში ცოდნის დეფიციტს,

კვალიფიციური კადრების ნაკლებობასა და დარგის პროდუქტიულობის მაჩვენებელს ამცირებს.

- გურიის რეგიონი, სხვა რეგიონებთან შედარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია. რეგიონში, დღეს დღეობით ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო დაწესებულება (კოლეჯი „ჰორიზონტი“), რომელშიც არსებული 18 პროგრამიდან, მხოლოდ ერთი (ჩაის გადამამუშავების ტექნოლოგია) სასერტიფიკატო პროგრამაა წარმოდგენილი სოფლის მეურნეობისათვის.

მიგნება 8: სამივე საკვლევ რეგიონში, პროფესიული განათლების სექტორთან თანამშრომლობის დამყარების საჭიროება და აუცილებლობა, მეტად გამოხატულია მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტებში.

- კვლევის საფუძველზე, ვლინდება, რომ ასეთი ტიპის კომპანიებს, მეტად უჭირთ კადრების მოძიება და სწორედ ამიტომ კადრების ძიებას სანაცნობო წრეში ახორციელებენ, ასევე მათ მიერ წამოყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, არ მოიცავს უმაღლეს განათლებას. შესაბამისად, ნათელია, რომ პროფესიული სასწავლებლების მიერ საკომუნიკაციო სტრატეგიის არ არსებობის პირობებში, ვერ ხდება სექტორული თანამშრომლობის დამყარება, რომელსაც განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია, რადგან ერთის მხრივ, დაკმაყოფილდება ბიზნეს სუბიექტების საჭიროებები, ხოლო მეორეს მხრივ, პროფესიული პროგრამების გამრავალფეროვნება მოხდება. ესეთი სექტორული თანამშრომლობა, შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის შემსუბუქებას შეუწყობს ხელს.

მიგნებები პროექტის ბენეფიციარების პროფესიული უნარების და საჭიროებების შესახებ

აღნიშნულ ნაწილი მოიცავს ინფორმაციას ბენეფიციართა ხელთარსებული უნარების შესახებ, ასევე შეფასებას, თუ რამდენად თანხვედრაშია ისინი პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და მოლოდინებთან.

მიგნება 1: პროექტის პოტენციური ბენეფიციარები სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თვითდასაქმების შესაძლებლობებს ანიჭებენ უპირატესობას, რადგან თვლიან რომ დაქირავებით დასაქმების შესაძლებლობები შეზღუდულია.

- გამოვლინდა, რომ ბენეფიციარების დამოკიდებულება დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით სკეპტიკურია, რადგან თვლიან, რომ არ არის საკმარისი საშუალო ადგილი, ხოლო დაქირავება მხოლოდ ნათესაური კავშირებით ხორციელდება და ასევე

აღნიშნავენ, რომ შემოთავაზებული ანაზღაურება დაბალია, ხოლო წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები მაღალი.

მიგნება 2: დასახელებული საჭიროებებიდან გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, პიროვნული (კომუნიკაციის უნარი, მოლაპარაკების წარმოების უნარი) და მეწარმეობის უნარების (ბიზნეს გეგმის წერის, საგრანტო განცხადებების დამუშავების) განვითარება.

- აღნიშნული უნარების გაღრმავების სურვილი გამომდინარეობს, საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდით, თვითდასაქმების ხელშეწყობით და საკუთარი საქმის დაწყების სურვილით. სამწუხაროდ, კონკრეტული მიმართულების ბიზნესის დაწყება-განვითარებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენის აუცილებლობა იშვიათად ვლინდება.

მიგნება 3: რეგიონში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათში წარმოდგენილ სასწავლო პროგრამებზე ინფორმაცია არასაკმარისია.

- ინფორმაციის ნაკლებობა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ხელს უწყობს დასაქმების პერსპექტივების აღქმების გაღრმავებას და საჭირო უნარების განვითარების აუცილებლობის უგულებელყოფას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა შორის ძალიან კარგად არის გავრცელებული ინფორმაცია სხვადასხვა ტრენინგთან დაკავშირებით, რომელსაც არსამთავრობო სექტორი ახორციელებს. შესაბამისად, ისინი აღნიშნავენ, რომ ასეთი ტრენინგები, რომელთა მიზანია პიროვნული უნარების განვითარება, ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის. ეს კი ადასტურებს, რომ ინფორმაციის ნაკლებობა საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე ნეგატიურად მოქმედებს, მათთვის საჭირო უნარების განვითარების საჭიროებაზე.

მიგნება 4: გამოვლენილი დარგობრივი ინტერესებიდან ყველაზე ხშირად დასახელებულია ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგი.

- ვინაიდან, გამოკითხულთა უმრავლესობა თვითდასაქმებას განიხილავს, ხოლო სასურველს მიმართულებად მითითებული აქვს სხვადასხვა დარგი, ამიტომ შესაძლო საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სასტუმროს მართვა, აგრონომია, სათბურის მოწყობა, ხეზე მუშაობა, მინანქარის ნაწარმის წარმოება.

მიგნება 5: გასაუბრებების შედეგების უკუკავშირის არ არსებობა ხელს უშლის სამსახურის მაძიებლებს სწორად აღიქვას იმ უნარ-ჩვევების საჭიროება, რომელიც დაეხმარებათ მათ მომავალში დასაქმებაში.

- ბენეფიციარების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის, მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების გაანალიზება, რომელიც დასაქმების მცდელობისას ჰქონდათ. რამდენიმე ბენეფიციარს დასაქმების სურვილი ჰქონდა, თუმცა დამსაქმებლისგან არ მომხდარა უკუკავშირი და შესაბამისად, იმის იდენტიფიცირება, თუ რა უნარისა და ცოდნის ნაკლებობის გამო არ მოხდა მათი დაქირავება. სავარაუდო მიზეზებიდან, ბენეფიციართა აღქმით, დასახელებულია კომუნიკაციის უნარის არ არსებობა და პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა.

რეკომენდაციები

წინამდებარე თავში, მოცემულია კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისათვის ზოგადი და კონკრეტული რეკომენდაციები, ასევე იდენტიფიცირებული რისკების ზემოქმედების შემცირებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები.

რეკომენდაცია 1: დღესდღეობით, არსებობს საკმარისი საფუძველი და თანამშრომლობის შესაძლებლობები პროფესიულ სასწავლებელსა და ბიზნეს სექტორს შორის, განსაკუთრებით სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების დანერგვის მიმართულებით. თუმცა, აღნიშნული თანამშრომლობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია შეიცვალოს საზოგადოებისა და კერძო სექტორის აღქმები და დამოკიდებულებები პროფესიული განათლების მიმართ. შესაბამისად, აღნიშნული მიზნით მნიშვნელოვანია გაიზარდოს პროფესიული განათლების ცნობადობა და პროფესიული სასწავლებლების იმიჯი კერძო სექტორსა და საზოგადოებაში. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია, განხორცილდეს საინფორმაციო კამპანიები, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, რაც გაზრდის სამიზნე აუდიტორიის ინფორმირებულობის დონეს როგორც მოსახლეობაში, ასევე ბიზნეს სექტორში.

რეკომენდაცია 2: საგანმანათლებლო და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის, და ბიზნეს სექტორის ჩართულობის ამაღლებისათვის სასურველია გატარდეს ბიზნეს სექტორის წამახალისებელი ღონისძიებები რათა გაძლიერდეს ბიზნეს სექტორის ინტერესი პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობის მიმართულებით. აღნიშნულ წამახალისებელ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს სტაჟირების პერიოდში სტაჟიორთა ანაზღაურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანადაფინანსება, ასევე საგადასახადო შეღავათების დაწესება (მაგ. სტაჟირების პროცესში საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლება), იმ ბიზნესებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკის დანერგვაში და მზად არიან, რომ პროფესიული კოლეჯების სტუდენტები მიიღონ ადგილზე სტაჟირებისა და პრაქტიკის გასაველელად.

რეკომენდაცია 3: შრომითი მიგრაციის ტემპის შემცირებისათვის სასურველია ბიზნესის განვითარების რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე წახალისება და მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის გეოგრაფიული არეალის გაფართოებას და შეამცირებს შრომითი მიგრაციას ადმინისტრაციულ ცენტრებსა და დიდ ქალაქებში.

რეკომენდაცია 4: სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების მოგვარებისათვის, საჭიროა კონკრეტული დარგობრივი ასოციაციების შემქნა ან და არსებულის გაძლიერება, რომლის მიზანი იქნება დარგში არსებული საჭიროებების კვლევა, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობა, რათა მოხდეს, დარგისათვის საჭირო დეფიციტური ცოდნის გაღრმავება. რამდენიმე მცირე ბიზნესის დაჯგუფების შემდეგ, შესაძლებელია შემუშავდეს სპეციალური, ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული პროგრამა. გარდა ამისა,

ასოციაციის მეშვეობით, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის გავრცელება საგანმანათლებლო, საგრანტო და სხვა შესაძლებლობების შესახებ. კარგი მაგალითია, სამეგრელოში შექმნილი მეთხილეთა ასოციაცია, რომელიც სწორედ დარგში ცოდნის გადმავებას ემსახურება, ხოლო მისი შედეგები მეთხილეთა მიერ წარმოებული თხილის ხარისხში აისახება. გარდა ამისა, ასოციაციის მიერ შესაძლებელია გადამზადებულ იქნას გამოვლენილი დეფიციტური პროფესიებისათვის კადრები, რომლებიც ასოციაციის წევრებს გაუწევენ კონსულტაციას, სიმბოლურ თანხად. ასეთი ტიპის ასოციაციები, შეიძლება დაარსდეს როგორც რეგიონალურ, ასევე რაიონულ დონეზე.

რეკომენდაცია 5: სასურველია გაფართოვდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარგობრივი პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს, ამა თუ იმ დარგში გამოვლენილ საჭირო პროფესიების დეფიციტის შემცირებას. ამისათვის კი, სასურველია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროგრამების შემუშავების პროცესში, რეგიონში არსებულ ბიზნეს სუბიექტების საკვლევი არეალის გაფართოება, რათა უკეთ იქნას შესწავლილი რეგიონის ბიზნეს სუბიექტების საჭიროებები, შემდგომი მათი პროგრამებში ასახვისათვის.

რეკომენდაცია 6: სოფლის მეურნეობის დარგში საჭიროა, ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნეს სუბიექტების გამსხვილებაზე ორიენტირებული მექანიზმების შემუშავება, რაც გაზრდის სამუშაო ადგილებსა და ასევე საზოგადოების ინტერესს უზრუნველყოფს. რაც უფრო დიდია ინვესტიცია და ბევრი მსხვილი დამსაქმებელი არსებობს, მით მეტია დარგისადმი ინტერესი და მით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნის. გარდა ამისა, ბიზნესის გამსხვილება ხელს შეუწყობს კონკურენციას და მცირე ზომის ბიზნესები იძულებულები გახდებიან გააუმჯობესონ თავიანთი საწარმოო პროცესები, აამაღლონ პროდუქციის ხარისხი და შესაბამისად, გაჩნდება მოთხოვნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებზე, რაც თავის მხრივ წაახალისებს როგორც საზოგადოებას, ასევე საგანმანათლებლო სექტორს და დაინერგება აღნიშნული დარგისათვის საჭირო სასწავლო პროგრამები.

რეკომენდაცია 7: სასურველია რეგიონულ დონეზე პერიოდულად ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა. აღნიშნული საშუალებას მისცემს, ერთის მხრივ რეგიონულ ადმინისტრაციებს, ადგილობრივ თვითმართველობებს გაზარდონ საკუთარი ინფორმირებულობის დონე, დასახონ რეგიონული განვითარების სტრატეგიული ქმედებები და განსაზღვრონ განვითარების პერსპექტივები, ასევე რეგიონში მოქმედ ყველა სუბიექტისათვის, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალება ექნებათ შეიმუშაონ და დანერგონ ახალი, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭირო საგანმანათლებლო პროგრამები.

რეკომენდაცია 8: სასურველია, სკოლებში გაგრძელდეს არსებული პრაქტიკა პროფორიენტაციის მიმართულებით. ეს უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პროგრამების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციის მიღებას წინასწარ, ზრდის კონკრეტული პროფესიებისადმი ინტერესს და სწორ მოლოდინებსა და აღქმის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სკოლის მოსწავლეებს საშუალება აქვთ გამოსცადონ საკუთარი თავი ამა თუ პროფესიაში, რაც ახალისებს მათ, არჩევანი გააკეთონ არა უმადლეს

განათლებაზე, არამედ სწავლა გააგრძელონ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

რეკომენდაცია 9: სასურველია საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს ისეთი საკითხების შესწავლა, რომელიც გააუმჯობესებს სტუდენტთა კომუნიკაციის უნარს, წახალისებს პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას და ასევე პროფესიისადმი სწორ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

რეკომენდაციები პროექტის განხორციელებისათვის

რეკომენდაცია 1: დასაქმების ხელშეწყობისათვის, სასურველია შემუშავდეს ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დასაქმების მოტივაცია, პროფესიული განვითარების სურვილი, გრძელვადიანი დასაქმების სურვილი, შესაძლო ანაზღაურების პირობებში. აღნიშნული კრიტერიუმების გარდა, ბენეფიციართა შეფასებაში უნდა მონაწილეობდეს შერჩეული დასაქმების სასურველ დარგში არსებული ცოდნის დონე და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმისაწვდომობა.

რეკომენდაცია 2: დასაქმების ხელშეწყობისათვის ბენეფიციართა შერჩევისას, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების პროფორიენტაციის მენეჯერის ჩართულობა, რომელიც შეაფასებს, ბენეფიციარის მოლოდინებსა და არსებულ უნარებს, არჩეული პროგრამის მიმართ. ეს საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად თანხვედრაში მოყვანილ იქნას, ბენეფიციართა მოლოდინები და არსებული უნარები შერჩეული პროგრამისა და პროფესიასთან, რაც საბოლოოდ, უზრუნველყოფს სწორი კადრის მომზადებას და ინტერვენციის მდგრადობას.

რეკომენდაცია 3: სასურველია მოხდეს შერჩეულ ბენეფიციართა სწავლისადმი წახალისების მექანიზმების შემუშავება. ასეთ მექანიზმად შეიძლება განხილული იყოს სტიპენდიების დანიშვნა წარჩინებულ სტუდენტებისათვის. ეს უზრუნველყოფს ბენეფიციართა მოტივაციის გაზრდას, სწავლისადმი პასუხისმგებლიან დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, საბოლოოდ კი მაღალი ხარისხის ცოდნის მიღებას.

რეკომენდაცია 4: სასურველია, ბენეფიციართათვის ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს თვითდასაქმებას, ესენი: თმის სტილისტი, ელექტრიკოსი, მასაჟისტი, მკერავი, ხოლო შემოსავლის წყაროს გაჩენისათვის სასურველია, შესაბამისი იარაღების შესყიდვა და გადაცემა. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით ბენეფიციარებს საშუალება ექნებათ თავიანთ სოფლებში თუ ქალაქში გაუწიონ მომსახურება მეზობლებს, ნაცნობებს, ხოლო სანაცვლოდ მიიღონ ანაზღაურება. ეს გაზრდის ოჯახის შემოსავალს და გააუმჯობესებს ბენეფიციართა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

რეკომენდაცია 5: სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმების წახალისების ნაცვლად, სასურველია მოხდეს მოქმედ მცირე სუბიექტების მომზადება და გადამზადება რეგიონში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც წარმოდგენილია ამ დარგის შესაბამისი პროგრამები. ვინაიდან, გამოიკვეთა რომ დარგში მოქმედ მცირე ბიზნესებს არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, ხოლო მაღალკვალიფიციური კადრის აყვანისათვის არ გააჩნიათ

ფინანსური რესურსები, სასურველია მოხდეს უშუალოდ საქმიანობაში ჩართულ პირთა მომზადება და გადამზადება. ეს ხელს შეუწყობს ცოდნის დეფიციტის შემცირებას, ასევე გაზრდის მათ პროდუქტიულობასა და ფუნქციონირების ეფექტურობას.

რეკომენდაცია 6: პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საგრანტო განაცემებისათვის სასურველია შეირჩეს, არა დამწყები და სურვილის მქონე პირები, არამედ უკვე არსებული და მოქმედი მცირე ბიზნესები, რომელთა ფინანსური დახმარების შედეგად, ბიზნესის გაფართოება და გამსხვილება მოჰყვება. ვინაიდან, გამოვლინდა, რომ სხვადასხვა საგრანტო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული კოოპერატივები, თუ ბიზნეს სუბიექტები, დღეს აღარ ფუნქციონირებენ ან დასაქმებული მხოლოდ ოჯახის წევრები ჰყავთ, ნათელია, რომ ასეთი ტიპის დახმარება ვერ უზრუნველყოფს მდგრადობასა და სამუშაო ადგილების გაჩენას. შესაბამისად, სასურველია მდგრადობის უზრუნველყოფისა და სამუშაო ადგილების გაჩენისათვის აქცენტი ისეთ პროექტებზე გაკეთდეს, რომელიც არსებული ბიზნესის გაფართოებასა და გამსხვილებას შეუწყობს ხელს.

რეკომენდაცია 7: სოფლის მეურნეობის დარგისათვის სასურველია, რეგიონის მასშტაბით შეიქმნას მცირე ზომის საკონსულტაციო ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს საჭირო დეფიციტურ კვალიფიკაციის მქონე კადრებს. ასეთი ასოციაციის ძირითადი მიზანი იქნება ფერმერული მეურნეობისათვის ცოდნის გაზიარება და მათი კონსულტირება.

თავდაპირველად, ასოციაცია შესაძლოა იყოს არამოგებაზე ორიენტირებული და საჭირო იყოს მისი ფინანსური მხარდაჭერა, თუმცა მისი ეფექტურად მართვის შემთხვევაში, და კვალიფიციური კადრების დაკომპლექტების შემთხვევაში, ის კომერციული ორგანიზაციად ჩამოყალიბდება. ასოციაციის არსებობა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგში ცოდნის გაზრდას, ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას და ასევე გაადვილებს მის რეალიზაციას. ასოციაციის ფუნქციებში, სასურველია რეალიზაციის უზრუნველყოფის დამატება, შესაბამისად მისი დაკომპლექტება არამხოლოდ აგრომინით, ვეტერინარით, სხვადასხვა ტექნიკოსებით იქნება საჭირო, არამედ სოციალური მედიის მენეჯერის, მარკეტოლოგის და სხვა რელევანტური კვალიფიკაციის მქონე კადრებით. ეს დაეხმარება მცირე მეურნეობებს საკუთარი პროდუქციის ბრენდინგშიც, პროდუქციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში და შემოსავლების გაზრდაში. ორგანიზაციის ფუნქციებს ასევე, შესაძლებელია დაემატოს სახელმწიფო საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის მიღება, აღნიშნული პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ფერმერული მეურნეობებისათვის დახმარებების გაწევა საგრანტო განაცხადების შემუშავებაში.

ასეთი ორგანიზაციის რეგიონში არსებობის შემთხვევაში, საჭიროა მისი გაძლიერება და ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულების წახალისება.

რეკომენდაცია 8: ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის დამყარებისათვის სტაჟირებასა და პრაქტიკაზე აყვანის წახალისების მიზნით, სასურველია ბიზნესისთვის შეთავაზებულ იქნას სტაჟირების დაფინანსებაში მონაწილეობის მიღება. ეს გაზრდის ბიზნეს სუბიექტის მოტივაციას და გაადვილებს თანამშრომლობას, რადგან ბიზნესს შეუმცირდება გასაწევი ხარჯი, შედეგად კი მის მიერ გაზრდილი კადრის დაქირავების საშუალება ექნება. ასევე სასურველია,

დასაქმების ხელშეწყობისათვის და მცირე ზომის ბიზნესთან თანამშრომლობისათვის შეთავაზებულ იქნას დასამქებულის ანაზღაურების თანადაფინანსება საწყის ეტაპზე, რაც დამსაქმებლისა და დაქირავებულის გრძელვადიან თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

რეკომენდაცია 9: დუალური სწავლების პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობისათვის სასურველია შეირჩეს ისეთი ბიზნეს სუბიექტები, რომელთა საწარმოო პროცესები მრავალმხრივია, რათა სტუდენტებს ჰქონდეს სრულფასოვანი პრაქტიკის გავლისა და კვალიფიკაციის მიღების საშუალება. ამიტომ სასურველია, შედარებით დიდი ზომის პარტნიორების შერჩევა.

რეკომენდაცია 10: სასურველია, თითოეულ ბიზნეს სუბიექტთან შემუშავდეს თანამშრომლობის ინდივიდუალური გეგმა, მათი საჭიროებების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის და შესაბამისი კადრის მოძიებისა და შემდგომი დასაქმებისათვის. გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც ბიზნესის ზომა, ასევე საკადრო საჭიროება. სასურველია, პოტენციური დასაქმებულის/სტაჟიორის შერჩევის პროცესში კონკრეტული ბიზნესის მონაწილეობა. ეს უზრუნველყოფს ბიზნესის ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გაზრდას, ასევე სამომავლოდ მის მიერ შერჩეული სტაჟიორის დასაქმების პერსპექტივას.

დანართები

დანართი 1 შერჩეული მუნიციპალიტეტების მიმოხილვა

აჭარა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში კვლევისათვის სამიზნე მუნიციპალიტეტებად შესაძლოა შეირჩეს ბათუმი და ორი მუნიციპალიტეტი, შემდგომი ოთხიდან: ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, ხულო. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნებ პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

მოცემულ მუნიციპალიტეტებზე ჩატარებული სამაგიდო კვლევის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

ბათუმი

ბათუმი არის თვითმმართველი ქალაქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქის ფართობი შეადგენს 64,9 კმ², ხოლო მოსახლეობა - 169.1 ათას კაცს. ბათუმი საქართველოს მეორე და დასავლეთ საქართველოს ყველაზე დიდი ქალაქია. აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ბათუმში უფრო განვითარებულია ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრება, მაღალია დასაქმების დონე შესაძლებლობები ახალგაზრდების განვითარებისათვის.

ბათუმი საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე ქალაქია ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვითაც. ბათუმზე მოდის რეგიონში არსებულ საწარმოთა ბრუნვის 82.2 %, ხოლო საქართველოს 5.6%. მოცემული მაჩვენებლით იგი გაცილებით ჩამორჩება ქვეყანაში პირველი ქალაქის, თბილისის იმავე მაჩვენებელს (75.1%), თუმცა დაახლოებით სამჯერ აღემატება მე-3 და მე-4 ადგილზე მყოფ ქუთაისსა (2.0%) და რუსთავს (1.8%). ასევე აღსანიშნავია, რომ ბათუმში იქმნება საქართველოში გამოშვებული პროდუქციის 8.0%. ამჟამად, ბათუმში წამყვანი ეკონომიკური საქმიანობებია: ტრანსპორტი და დასაწყობება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, მშენებლობა და ტურიზმი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ბათუმში თავმოყრილია აჭარის მოსახლეობის 48.1% და რეგიონში დასაქმებული მოსახლეობის 83.5%. ბათუმში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი შეადგენს 1,029.3 ლარს, რითაც ჩამორჩება თბილისის, შუახევის, ახმეტის, მცხეთის, ფოთის, მესტიის, ბოლნისის, გარდაბნისა და კასპის მუნიციპალიტეტებს.

ბათუმში წარმოდგენილია რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“, მათ შორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

ქობულეთი

ქობულეთი არის აჭარის რეგიონში მდებარე ზღვისპირა, თვითმმართველი ქალაქი, რომლის ფართობიც არის 711,8 კმ², ხოლო მოსახლეობა 72.2 ათას კაცს შეადგენს, საიდანაც უფრო დიდი ნაწილი სოფლადაა წარმოდგენილი. მოსახლეობის მიხედვით ქობულეთი აჭარის მეორე, ხოლო საქართველოს მეშვიდე მუნიციპალიტეტია.

ქობულეთში წამყვანი ადგილი უჭირავს განთავსებისა და საკვების მიწოდებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საქმიანობასა და სოფლის მეურნეობას. ქობულეთზე მოდის საწარმოთა ბრუნვის 6.2 %, ხოლო დასაქმებულთა 9.3% რეგიონში. მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი დიდი ზომის სამეწარმეო ბიზნესები. აქ ძირითადად, მოქმედებს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ისეთი სამრეწველო ობიექტები, როგორებიცაა სასოფლო პროდუქტების გადამამუშავების, კომუნალური მეურნეობის და ვაჭრობის ობიექტები.

ქობულეთში წამყვანი ეკონომიკური მიმართულებებია მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, მშენებლობა და ტურიზმი.

ქობულეთში მოქმედი ძირითადი პროფესიული-საგანმანათლებლო დაწესებულება არის საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალი ტალღა", სადაც შესაძლებელია პროფესიული განათლების მიღება სოფლის მეურნეობის, ფარმაციისა და სამედიცინო, ფინანსების, ტურიზმისა და სხვა მიმართულებებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი მდებარეობს ბათუმთან ახლოს, შესაბამისად სტუდენტებსა და დასაქმებულებს შეუძლიათ სწავლა ან თავიანთი პროფესიული საქმიანობა განახორციელონ ბათუმში.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ რეგიონში ბათუმის გარდა მხოლოდ ქობულეთში ფუნქციონირებს მუნიციპალური ტრანსპორტი.

ქედა

ქედის მუნიციპალიტეტი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადმინისტრაციული ერთეული, რომლის ცენტრიც არის დაბა ქედა. მუნიციპალიტეტის ფართობია 452 კმ², ხოლო მოსახლეობა - 16.8 ათასი კაცი, რაც რეგიონის მოსახლეობის 4.8%-ს შეადგენს. ქედის მუნიციპალიტეტი დაყოფილია ათ ადმინისტრაციულ ერთეულად.

ქედაზე მოდის რეგიონში არსებულ საწარმოთა ბრუნვის 0.4%, ხოლო დასაქმებულთა 1.2%. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80% სოფლის მეურნეობითაა დაკავებული. რეგიონში ამჟამად აქტიური ეკონომიკური საქმიანობებია: კალმახის წარმოება, ლობიოსა და კარტოფილის მოყვანა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ბოსტნეული კულტურას (ძირითადად კიტრი და პომიდორი) ქედისათვის მაპროფილებელია და წამყვანი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ აქტიურობაში.

2018 წელს, ევროკავშირის მიერ ჩატარებული კვლევის, „ქედის მუნიციპალიტეტის საჭიროებების და რესურსების კვლევა“, მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობებს განეკუთვნება: მებოსტნეობა (16.7%), თამბაქოს მოყვანა

(16.4%), მევენახეობა (14.3%), თხილის ბაღების გაშენება (7.3%) და მეფუტკრეობა (6.8%). ქედაში გვხვდება ფერადი ლითონების სპილენძ-პოლიმეტალების საბადოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მერისის სპილენძისა და ტყვიის საბადო, ოქროს შემცველი ქანები.

დღეისათვის ქედის მუნიციპალიტეტს აქვს ახალი ღვინის ქარხანა, რომელსაც შეუძლია შეუფერხებლად მიიღოს 1500 ტონაზე მეტი ყურძნის მოსავალი.

2021 წლისათვის ქედაში იგეგმება „ბლექის“ კოლეჯის გახსნა. კოლეჯი, „ბლექი“ მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს, რომლისთვისაც ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულების პროგრამების განხორციელება და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებაა პრიორიტეტული.

გურია

გურიის რეგიონში კვლევისათვის სამიზნე მუნიციპალიტეტებად შერჩეულია ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები. მოცემულ მუნიციპალიტეტებზე ჩატარებული სამაგიდო კვლევის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი არის გურიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც არის ქალაქი ოზურგეთი. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 675 კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა - 59.9 ათას კაცს, რაც რეგიონის მოსახლეობის 55.4 %-ს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი შედგება 29 ადმინისტრაციული ერთეულისაგან.

რამდენადაც ოზურგეთი არის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი, სწორედ მასზე მოდის რეგიონში არსებულ საწარმოთა ბრუნვის 67.4 %. მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი როლი აქვს დასაქმების ჭრილშიც და წარმოადგენს რეგიონში დასაქმების 71.5%-ს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ძირითადი შემოსავლის წყარო არის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი, მცირე საწარმოები და ვაჭრობა. მუნიციპალიტეტს აქვს ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლის პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა და ტურიზმი. ამასთან, სატყეო მეურნეობს ბაზაზე შესაძლებელია ხის გადამამუშავებელი წარმოების, სამონადირეო მეურნეობის და სანერგე მეურნეობის განვითარება. აქვე აღსანიშნავია, რომ რეგიონში ჩადებული ინვესტიციის 92.2 % სწორედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე მოდის.

ამჟამად, ოზურგეთში არის 43 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, 42 სკოლა და ერთი პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“, რომელშიც 42 პედაგოგია დასაქმებული და 750 სტუდენტზეა გათვლილი. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა

პასუხობს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის (აგებულია სტანდარტული პანდუსები, ლიფტები და ა.შ).

ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი არის ერთერთი გურიის მხარეში მდებარე სამი მუნიციპალიტეტიდან. მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ლანჩხუთი. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 533 მ²-ს, ხოლო მოსახლეობა 30.2 ათასი კაცს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 13 ადმინისტრაციულ ერთეულს.

რეგიონში არსებულ საწარმოთა ბრუნვის 11.9 % მოდის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტზე. აქ დასაქმებულია რეგიონში დასაქმებული მოსახლეობის 15.5 %, ხოლო დასაქმებულთა საშუალო ხელფასი შეადგენს 445.7 ლარს, რითაც ჩამორჩება დანარჩენ ორ მუნიციპალიტეტს.

ამჟამად მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი. მუნიციპალიტეტის ნაწილში, კერძოდ კი წყალწმინდასა და გრიგოლეთში განვითარებულია ტურიზმი. წამყვან დარგად ითვლება სოფლის მეურნეობა, კონკრეტულად კი მეციტრუსეობა, მეცხოველეობა და თხილი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოპერირებს 24 სკოლა და 22 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. მუნიციპალიტეტში ასევე დაგეგმილია და მიმდინარეობს ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტი"-ს ფილიალის მშენებლობა.

ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი არის გურიის მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ჩოხატაური. მუნიციპალიტეტი განლაგებულია 825.1 კმ²-ზე. მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტში არის 18.0 ათასი კაცი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 61 დასახლებული პუნქტია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე მოდის რეგიონის საწარმოთა ბრუნვის 15.5 %, რითაც მეორე ადგილზეა, ოზურგეთის შემდგომ. აქ წარმოდგენილია რეგიონში დასაქმებულთა 13 %. დასაქმებულთა საშუალო ხელფასი მუნიციპალიტეტში შეადგენს 980.4 ლარს, რითაც ის უსწრებს სხვა ორ მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალიტეტში წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მათ შორის მეხილეობა, მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა. მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი საწარმოა სააქციო საზოგადოება "წყალი მარგებელი" (მინერალური წყლის „ნაბელავის“ ჩამოსასხმელი ქარხანა). ფუნქციონირებს სამთო-კლიმატური კურორტები ბახმარო და ნაბელავი. ნაბელავის მინერალური წყლის ბაზაზე მოქმედებს წყლის და უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელი ქარხანა. ფუნქციონირებს სამთო-კლიმატური კურორტი ბახმარო.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდიდარია წიაღისეულით. აქ მოიპოვება ტუფის და გრანიტის მოსაპირკეთებელი მასალა, რომელთაგან თითოეულის საერთო მარაგი 400 ათას მ3-ს შეადგენს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებობს ასევე ოქროს წიაღისეული, რომლის მარაგი შეფასებული არ არის.

ჩოხატაურში მოქმედებს შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის შექმნილი რამდენიმე სოციალური სახლი. მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს 31 სკოლა, 19 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ ფილიალი, რომლის მშენებლობაც 2020 წლის ნოემბერში დასრულდა და 2021 წლიდან მიიღებს სტუდენტებს.

სამეგრელო

სამეგრელოს რეგიონში კვლევისათვის სამიზნე მუნიციპალიტეტებად შერჩეულია ზუგდიდის, სენაკისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები. მოცემულ მუნიციპალიტეტებზე ჩატარებული სამაგიდო კვლევის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც არის ქალაქი ზუგდიდი. მუნიციპალიტეტის ფართობია 668 კმ², ხოლო მოსახლეობა 100.2 ათასი კაცი, რაც სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის 32.2%-ს შეადგენს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი იყოფა 17 თემად და 12 სათავო სოფლად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე მოდის სამეგრელოს რეგიონში არსებულ საწარმოთა ბრუნვის 22.9%, ხოლო რეგიონში დასაქმებულთა 29.1%. მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი შეადგენს 710.9 ლარს. სწორედ ზუგდიდშია წარმოდგენილი მსხვილი სავაჭრო ობიექტების აბსოლუტური უმრავლესობა, რაც განპირობებულია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით უფრო დიდი მოსახლეობით.

მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური დარგებია სოფლის მეურნეობა და მშენებლობა. მუნიციპალიტეტში ასევე მოიპოვება ისეთი წიაღისეული როგორცაა ტორფი (ჭურის საბადო), საკირე კირქვა, ბარიტი და თაბაშირი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მრეწველობის მაპროფილებელი სახეებია თხილისა და ჩაის გადამამუშავება. აქ ასევე აქტიურია სასათბურე და სასაწყობო მეურნეობები.

ზუგდიდში ფუნქციონირებს უმაღლესი სასწავლებელი. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელშიც წარმოდგენილია ჰუმანიტარული, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის და ჯანდაცვის ფაკულტეტები. უნივერსიტეტში, საბაკალავრო პროგრამების პარალელურად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც

არის წარმოდგენილი და შესაძლებელია ისეთი პროფესიების შესწავლა, როგორცაა - ფარმაცევტის თანაშემწე, გუნდის ლოტბარი, კრიმინალისტი, ბუღალტერი. გარდა ამისა, ისწავლება ბიზნესის ადმინისტრირება, ქართული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, ფარმაცია, მცირე ბიზნესის მენეჯმენტი, ფარმაცევტული ანალიზი და ქართული ლიტერატურის ისტორია.

სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამეგრელოში. მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სენაკი. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 520.7 კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა 35.0 ათას კაცს, რაც სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის 11.3%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 15 ადმინისტრაციულ ერთეულს, კერძოდ კი 1 ქალაქსა და 14 სოფელს.

რეგიონში არსებულ საწარმოთა ბრუნვის 7.3%, ხოლო რეგიონში დასაქმებულთა 10.4% მოდის სენაკზე, რითაც მე-3 ადგილზეა რეგიონში ზუგდიდისა და ფოთის შემდგომ. მუნიციპალიტეტი მდიდარია წიაღისეულის საბადოებით, როგორცაა კირქვა, ქვიშა-ხრეში, საკირე კირქვა, **თაბაშირი და სხვა. მუნიციპალიტეტში ასევე განვითარებულია სასათბურე მეურნეობა.**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ძირითად მიმართულებად აღებული აქვს მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარება. მემცენარეობიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამარცვლე სიმინდისა და სოიას წარმოებას. მეტ-ნაკლებად განვითარებულია მებოსტნეობა, მრავალწლიანი ნარგავებიდან მნიშვნელოვანია: ციტრუსი, ხილი, ჩაი, ვენახი, დაფნა, ხეხილი, სუბტროპიკული ხურმა, კივი და ა. შ. მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი რესურსი არსებობს. სენაკის მუნიციპალიტეტში მრეწველობის მაპროფილებელია ღვინის წარმოება.

სენაკში ფუნქციონირებს შშმ ბავშვთა სახლი - სენაკის ფსიქო-ნევროლოგიური პანსიონატი, რომელშიც 34 ბენეფიციარი ირიცხება. მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფილიალი.

წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი არის თვითმმართველი ერთეული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც მდებარეობს ქალაქ წალენჯიხაში. მუნიციპალიტეტი შედგება 16 ადმინისტრაციული ერთეულისაგან, საიდანაც 2 ქალაქია (წალენჯიხა და ჯვარი), ხოლო 14 სოფელი. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფართობია 646,7 კმ², ხოლო მოსახლეობა 23.7 ათასი კაცი. წალენჯიხა მდებარეობს ზუგდიდიდან 22 კმ-ში, რაც ამარტივებს რეგიონულ ცენტრთან აქტიურ თანამშრომლობას, როგორც ეკონომიკურ, ისე დასაქმებისა თუ სხვა ჭრილში.

წალენჯიხის წვლილი რეგიონის ეკონომიკაში საკმაოდ მწირია. მასზე მოდის რეგიონში არსებულ საწარმოთა ბრუნვის 1.7% და რეგიონში გამოშვებული პროდუქციის 1.9%. ასევე აღსანიშნავია, რომ წალენჯიხაზე მოდის რეგიონული დასაქმების 3.1%. მუნიციპალიტეტში არსებული საშუალო ხელფასი შეადგენს 423.9 ლარს, რიტაც მხოლოდ ჩხოროწყუს უსწრებს და გაცილებით ჩამორჩება რეგიონში არსებულ სხვა მუნიციპალიტეტების იგივე მაჩვენებელს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მრეწველობის მაპროფილებელი სახეებია ხე-ტყის გადამუშავება და ჩაის წარმოება. წალენჯიხაში მოქმედებს 5 საწარმო, რომლებიც, ძირითადად, თხილისა და ჩაის გადამუშავებით არის დაკავებული და საერთო ჯამში, 727 ტონა პროდუქციას აწარმოებს. წალენჯიხაშია განლაგებული ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური, ენგურჰესი.

წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარში ფუნქციონირებს პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, რომლის რეაბილიტაციაც დასრულდა 2017 წელს. კოლეჯში წარმოდგენილია შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ელექტრობა, ინფორმაციის ტექნოლოგია, ზეინკალ-სანტექნიკოსი, ფილამწობი, სამკერვალო წარმოება., მათ შორის სოფლის მეურნეობის პროგრამები.

შერჩეული მუნიციპალიტეტების მახასიათებლების შეჯამება

| მუნიციპალიტეტი | რეგიონი | სიახლოვე ადმინისტრაციულ ცენტრთან | პოტენციურ დამსაქმებელთა ოდენობა (რეგიონის ჭრილში) | წილი რეგიონის მოსახლეობაში | ინვესტიციების ოდენობა (აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები) | საწარმოთა ბრუნვა | დასაქმების წილი რეგიონში | საზოგადოებრივი/პროფესიული სასწავლებლები ს არსებობა | შერჩეული დარგები | სამიზნე მოწყვლადი ჯგუფები |
|----------------|------------------------|----------------------------------|---------------------------------------------------|----------------------------|----------------------------------------------------------------|------------------|--------------------------|----------------------------------------------------|-----------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|
| ბათუმი | აჭარა | კი | მაღალი | 48.1% | 93.5% | 82.2% | 83.5% | 11 | ტრანსპორტი, დასაწყობება ტურიზმი მშენებლობა | ეკომიგრანტებისო ციალურად დაუცველები; შშმ პირები; ახალგაზრდები (NEET) |
| ქობულეთი | აჭარა | კი | საშუალო | 20.5% | 1.62% | 0.4% | 1.1% | 1 | მეჩაიეობა, მეციტრუსეობა , მშენებლობა ტურიზმი | რელიგიური უმცირესობები; სოციალურად დაუცველები; შშმ პირები; ახალგაზრდები (NEET) |
| ქედა | აჭარა | კი | საშუალო | 4.8% | 0.26% | 0.4% | 1.2% | იგეგმება | კალმახის წარმოება, მებოსტნეობა | რელიგიური უმცირესობები; შშმ პირები; ახალგაზრდები (NEET) |
| ზუგდიდი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | კი | მაღალი | 32.2% | 8.28% | 22.9% | 29.1% | 3 | გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა | |

| | | | | | | | | | | |
|-----------|------------------------|----|---------|-------|--------|-------|-------|----------|----------------------------------------|--|
| წალენჯიხა | სამეგრელო-ზემო სვანეთი | კი | საშუალო | 7.6% | 0.38% | 1.7% | 3.1% | 1 | ხე-ტყის გადამუშავება და ჩაის წარმოება | |
| სენაკი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | კი | საშუალო | 11.3% | 4.53% | 7.3% | 10.4% | 1 | მემცენარეობა და მეცხოველეობა , ტურიზმი | |
| ოზურგეთი | გურია | კი | საშუალო | 55.4% | 92.17% | 67.4% | 71.5% | 1 | სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა | |
| ჩოხატაური | გურია | კი | საშუალო | 16.7% | 3.85% | 15.5% | 13% | იგეგმება | მეჩაიეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა | |
| ლანჩხუთი | გურია | კი | დაბალი | 27.9% | 4.0% | 11.9% | 15.5% | იგეგმება | მეციტრუსეობა , მეცხოველეობა , ტურიზმი | |

დანართი # 2 ჩატარებული გამოკითხვის მონაცემები

| საკვლევი ჯგუფი | დაკავშირებული (რაოდენობრივი) | შემდგარი | დაკავშირებული (თვისებრივი) | შემდგარი | ფოკუს ჯგუფი დაკავშირებული | შემდგარი | სულ დაკავშირებული | სულ გამოკითხული |
|-------------------------|------------------------------|----------|----------------------------|-----------|---------------------------|-----------|-------------------|-----------------|
| ბიზნეს სექტორი | 300 | 184 | 30 | 24 | 18 | 14 | 348 | 222 |
| არასამთავრობო სექტორი | 0 | | 10 | 8 | | | 10 | 8 |
| საგანმანათლებლო სექტორი | 0 | | 8 | 8 | | | 8 | 8 |
| მოწყვლადი ჯგუფები | 0 | | | | 45 | 36 | 45 | 36 |
| სახელმწიფო სექტორი | 0 | | 9 | 9 | | | 9 | 9 |
| სულ რესპოდენტი | 300 | | 57 | 49 | 63 | 50 | 420 | 283 |

დანართი # 3 კვლევის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები და ცხრილები

ცხრილი # 1 მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში საარსებო შემწეობის მიღებისათვის რეგისტრირებულთა და ოჯახების რაოდენობა

| რაიონი | რეგისტრირებული ოჯახი | რეგისტრირებული პირი |
|--------------------------------------|----------------------|---------------------|
| ლანჩხუთის რაიონი | 4 350 | 13 172 |
| ოზურგეთი | 2 268 | 6 247 |
| ოზურგეთის რაიონი | 6 361 | 20 622 |
| ჩოხატაურის რაიონი | 3 671 | 11 244 |
| გურია | 16 650 | 51 285 |
| ზუგდიდის რაიონი | 10 904 | 33 501 |
| სენაკის რაიონი | 4 406 | 12 241 |
| ფოთი | 2 310 | 6 145 |
| წალენჯიხის რაიონი | 3 786 | 11 673 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 21 406 | 63 560 |
| ბათუმი | 8 639 | 28 709 |
| ქედის რაიონი | 3 229 | 13 885 |
| ქობულეთის რაიონი | 8 274 | 33 526 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 31 521 | 76 120 |

ცხრილი #2 მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმპ) და შრომის უუნარო პირთა რაოდენობა

| რეგიონი/რაიონი | რაოდენობა რეგისტრირებულ ოჯახებში | | | | საარსებო შემწეობის მიმღებები | | | |
|-------------------|----------------------------------|--------------|------------------------------|--------------------|------------------------------|--------------|------------------------------|--------------------|
| | ოჯახი შშმ პირით | შშმ პირი | ოჯახი შრომის უუნარო პირით ** | შრომის უუნარო პირი | ოჯახი შშმ პირით | შშმ პირი | ოჯახი შრომის უუნარო პირით ** | შრომის უუნარო პირი |
| ლანჩხუთის რაიონი | 1 230 | 1 497 | 3 635 | 6 865 | 553 | 716 | 1 457 | 3 383 |
| ოზურგეთი | 391 | 423 | 1 838 | 3 169 | 222 | 245 | 898 | 1 705 |
| ოზურგეთის რაიონი | 1 101 | 1 225 | 5 173 | 9 837 | 400 | 462 | 1 637 | 3 937 |
| ჩოხატაურის რაიონი | 631 | 716 | 3 015 | 5 640 | 303 | 366 | 1 075 | 2 552 |
| გურია | 3 353 | 3 861 | 13 661 | 25 511 | 1 478 | 1 789 | 5 067 | 11 577 |

| | | | | | | | | |
|--------------------------------------|--------------|--------------|---------------|---------------|--------------|--------------|---------------|---------------|
| ზუგდიდის რაიონი | 1 585 | 1 742 | 8 650 | 16 038 | 1 077 | 1 199 | 5 433 | 11 081 |
| სენაკის რაიონი | 787 | 885 | 3 626 | 6 476 | 475 | 537 | 2 007 | 3 973 |
| ფოთი | 379 | 404 | 1 864 | 3 147 | 173 | 189 | 869 | 1 572 |
| წალენჯიხის რაიონი | 587 | 655 | 3 010 | 5 682 | 352 | 406 | 1 634 | 3 544 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 6 197 | 6 978 | 29 891 | 55 542 | 3 593 | 4 144 | 16 124 | 34 095 |
| ბათუმი | 1 682 | 1 932 | 7 073 | 13 501 | 800 | 942 | 3 628 | 7 405 |
| ქედის რაიონი | 822 | 991 | 2 701 | 6 091 | 380 | 480 | 1 201 | 3 214 |
| ქობულეთის რაიონი | 1 700 | 1 986 | 6 826 | 14 702 | 631 | 791 | 2 251 | 5 824 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 7 217 | 8 623 | 26 163 | 56 084 | 3 098 | 3 922 | 10 882 | 26 782 |

ცხრილი # 3 დევნილთა რაოდენობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების კრილში

| რეგიონი | რაიონი | დევნილების რაოდ. | ოჯახების რაოდ. |
|------------------------|-----------|------------------|----------------|
| აჭარა | ქედა | 4337 | 1425 |
| აჭარა | ქობულეთი | 1675 | 579 |
| აჭარა | ბათუმი | 4337 | 1425 |
| აჭარა ჯამი | | 10349 | 3429 |
| გურია | ჩოხატაური | 108 | 38 |
| გურია | ლანჩხუთი | 182 | 53 |
| გურია | ოზურგეთი | 231 | 77 |
| გურია ჯამი | | 521 | 168 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | სენაკი | 8340 | 2709 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | წალენჯიხა | 9055 | 2690 |

| | | | |
|-----------------------------|---------|-------|-------|
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | ფოთი | 10866 | 3229 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | ზუგდიდი | 47551 | 14371 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი ჯამი | | 75812 | 22999 |

ცხრილი #4 პროფესიული განათლების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

| პროფესიული განათლების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით (ერთეული) | | | | | | | | |
|------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|-----------|----------------------------------|--------------|------------------------------|--------------|---------------------------|--------------|
| | საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა | | ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა | | კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა | | მასწავლებლების რიცხოვნობა | |
| | კერძო | საჯარო | ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
| 2019 | | | | | | | | |
| თბილისი | 35 | 13 | 2 967 | 2 404 | 2 529 | 1 912 | 1 721 | 824 |
| აჭარა | 9 | 6 | 1 004 | 1 819 | 1 033 | 1 422 | 469 | 243 |
| გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/მცხეთა-მთიანეთი | - | 4 | 155 | 221 | 184 | 228 | 126 | 68 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 2 | 4 | 384 | 404 | 332 | 243 | 202 | 82 |
| სამცხე-ჯავახეთი | 2 | 2 | 130 | 230 | 233 | 226 | 91 | 33 |
| ქვემო ქართლი | 3 | 1 | 145 | 43 | 168 | 84 | 99 | 20 |
| შიდა ქართლი | 2 | 4 | 191 | 121 | 214 | 159 | 172 | 48 |
| საქართველო | 62 | 43 | 5 510 | 6 019 | 5 448 | 5 480 | 3 431 | 1 578 |

ცხრილი #5. 2019 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებული პირების ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები

| რეგიონები | 15+ მოსახლეობის რაოდენობა | დაწესებულებების რაოდენობა | რეგისტრანტთა რაოდენობა და განაწილება სქესისა და რეგიონების მიხედვით | ჩარიცხულთა რაოდენობა და განაწილება სქესისა და რეგიონების მიხედვით (% რეგისტრანტებიდან) |
|-----------|---------------------------|---------------------------|---------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------|
|-----------|---------------------------|---------------------------|---------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------|

| | | # | # | % | ქალები % | კაცები % | # | % | ქალები % | კაცები % |
|----------------------------------------------|--------------|-----|--------|-------|-------------|-------------|-------|-------|-------------|-------------|
| გურია | 96 700 | 1 | 178 | 0.92 | 54 | 46 | 123 | 69.1 | 54 | 46 |
| მცხეთა მთიანეთი | 78 100 | 2 | 314 | 1.63 | 33 | 67 | 219 | 69.75 | 35 | 65 |
| სამცხე ჯავახეთი | 132 400 | 4 | 600 | 3.11 | 43 | 57 | 360 | 60 | 36 | 64 |
| ქვემო ქართლი | 328 400 | 5 | 273 | 1.41 | 70 | 30 | 187 | 68.5 | 78 | 22 |
| კახეთი | 252 500 | 6 | 669 | 3.46 | 44 | 56 | 503 | 75.19 | 46 | 54 |
| შიდა ქართლი | 213 000 | 6 | 510 | 2.64 | 59 | 41 | 312 | 61.18 | 61 | 39 |
| სამეგრელო ზემოსავნეთი | 274 200 | 7 | 1 203 | 6.23 | 50 | 50 | 878 | 72.98 | 49 | 51 |
| იმერეთი, რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 455 900 | 14 | 1 841 | 9.53 | 42 | 58 | 842 | 45.74 | 38 | 62 |
| აჭარა | 273 000 | 14 | 4 281 | 22.17 | 38 | 62 | 2 820 | 65.87 | 36 | 64 |
| თბილისი | 930 100 | 48 | 9 443 | 48.9 | 55 | 45 | 5 375 | 56.92 | 55 | 45 |
| სულ | 3 043 300 | 107 | 19 312 | 100 | 49 | 51 | 528 | 59.69 | 48 | 52 |

ცხრილი #6. რეგიონებში შერჩეული დარგების ძირითადი მახასიათებლები


| შერჩეული დარგი | სოფლის მეურნეობის სატყეო და თევზის მეურნეობა | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფ ა და საკვების მიწოდების საქმიანობები | ინფორმაცია და კომუნიკაცია | დამამუშავებ ლი მრეწველობა | ადმინისტრაციულ ი და სხვა დამხმარე მომსახურებების საქმიანობები |
|-----------------------------------------|----------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------|---------------------------------|------------------------------------------------------------------------|
| გურია | | | | | |
| დასაქმების მაჩვენებელი | დაბალი | საშუალოზე მაღალი | დაბალი | საშუალოზე მაღალი | დაბალი |
| ინვესტიციების მაჩვენებელი | დაბალი | დაბალი | დაბალი | მაღალი | დაბალი |
| საშუალო თვიური ხელფასი | 598.00 | 785.00 | 286.00 | 1058.00 | 983.00 |
| პრიორიტეტულ ი სახელმწიფოს მხრიდან | კო | კო | კო | კო | კო |

| | | | | | |
|----------------------------------|------------------|------------------|---------------|---------|--------|
| დონორების მიერ მხარდაჭერილი | კი | კი | არა | კი | არა |
| ახალი არატრადიციული დარგი | არა | კი | კი | არა | კი |
| აჭარა | | | | | |
| დასაქმების მაჩვენებელი | დაბალი | მაღალი | დაბალი | მაღალი | დაბალი |
| ინვესტიციების მაჩვენებელი | დაბალი | მაღალი | დაბალი | მაღალი | დაბალი |
| საშუალო თვიური ხელფასი | 235.00 | 802.7 | 911.00 | 761.2 | 1065.3 |
| პრიორიტეტული სახელმწიფოს მხრიდან | კი | კი | კი | კი | კი |
| დონორების მიერ მხარდაჭერილი | კი | კი | არ გამოიკვეთა | კი | არა |
| ახალი არატრადიციული დარგი | არა | არა | კი | არა | არა |
| სამეგრელო | | | | | |
| დასაქმების მაჩვენებელი | საშუალოზე დაბალი | საშუალოზე დაბალი | დაბალი | მაღალი | დაბალი |
| ინვესტიციების მაჩვენებელი | საშუალო | დაბალი | დაბალი | საშუალო | დაბალი |
| საშუალო თვიური ხელფასი | 860.80 | 543.5 | 633.50 | 782.2 | 633.5 |
| პრიორიტეტული სახელმწიფოს მხრიდან | კი | კი | კი | კი | კი |


| | | | | | |
|-----------------------------------|-----|----|-----|-----|-----|
| დონორების მიერ მხარდაჭერილი | კი | კი | არა | კი | არა |
| ახალი არატრადიციუ ლი დარგი | არა | კი | კი | არა | კი |

დანართი # 4 რაოდენობრივი კვლევის ინფოგრაფიკა


გრაფიკი1. კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა გადანაწილება რეგიონების მიხედვით:




გრაფიკი2. გამოკითხული ბიზნეს სუბიექტების გადანაწილება მუნიციპალიტეტების კრილში




გრაფიკი 3. გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სფეროები რეგიონულ ქრილში




გრაფიკი 4. გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტების რაოდენობები რეგიონებისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით




გრაფიკი 5. გამოკითხული ბიზნეს სუბიექტები თანამშრომლების რაოდენობისა და რეგიონების მიხედვით




გრაფიკი 6. გამოკითხული ბიზნეს სუბიექტები თანამშრომლების რაოდენობისა და დარგების მიხედვით




გრაფიკი 7. გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტებში თანამშრომლების საშუალო მაჩვენებელი რეგიონებისა და დარგების მიხედვით



გრაფიკი 8. გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტების მიერ დასახელებული კადრების მოზიდვის გზები. მაჩვენებლები ასახავს გამოკითხულის მიერ პირველად დასახელებულ და შეხსენების შემდეგ დასახელებულ პასუხებს




გრაფიკი 9. გამოკითხულ ბიზნეს სუბიექტების მიერ დასახელებული კადრების მოზიდვის გზები კომპანიების ზომის მიხედვით




გრაფიკი10.

გაქვთ თუ არა პრობლემების კადრების მოძიებისას


პრობლემები კადრების მოძიებისას - პასუხი დიახ!




გრაფიკი 11. სექტორები რომლებშიც ყველაზე ხშირად იქნა დასახელებული კადრების მოძიების პრობლემა რეგიონულ ჭრილში




გრაფიკი 12. კადრების შერჩევისას მოთხოვნილი უნარები -აჭარა



გრაფიკი13. კადრების შერჩევისას მოთხოვნილი უნარები -გურია




გრაფიკი14. კადრების შერჩევისას მოთხოვნილი უნარები -სამეგრელო




გრფიკი15.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები სექტორულ ჭრილში


უცხო ენა




კომუნიკაციის უნარი




ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება




სამუშაო გამოცდილება




კომპიუტერული ტექნოლოგიები




უმაღლესი განათლება




რეკომენდაცია




გრფიკი16. რომელი ტიპის კადრის დეფიციტი არსებობს გამოკითხულ სუბიექტებში რეგიონების მიხედვით




გრფიკი17. რომელი ტიპის კადრის დეფიციტი არსებობს გამოკითხულ სუბიექტებში სექტორების მიხედვით




გრფიკი18. მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა, გკონდეთ მჭიდრო ურთიერთობა უმაღლეს და პროფესიული სასწავლებელთან, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს თქვენი ორგანიზაციის საქმიანობისათვის საჭირო პროფესიებში?



გრფიკი19. აქვს თუ არა თქვენს ორგანიზაციას დაინტერესება, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო-საწარმოო პროგრამების შემუშავებაში იმ პროფესიების მიხედვით, რომელიც თქვენს ორგანიზაციისთვის საჭიროებს წარმოადგენს?



გრფიკი 20. აქვს თუ არა თქვენს ორგანიზაციას დაინტერესება, საწარმოო პროექტის მიხედვით, რომელიც თქვენს ორგანიზაციისთვის საჭიროებას წარმოადგენს?



გრფიკი 21. აქვს თუ არა თქვენს ორგანიზაციას დაინტერესება, სტაჟირებაზე მიიღოს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები, იმ პროფესიების მიხედვით, რომელიც თქვენს ორგანიზაციისთვის საჭიროებას წარმოადგენს?

